# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (9.767)

11-18 თებერვალი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა




გვ.5

ერს უნდა ესმოდეს არამხოლოდ თავისი ღირსებები, არამედ ნაკლოვანებებიც

## დედოფლისწყაროში წარმოებული პროდუქციის



გვ.2

## ბრენდირება თვითმმართველობის საზრუნავია

## დიმიტრი ქუმსიშვილი: „მზად ვარ, თავდასხმები ავიტანო"



გვ.2



გვ.8

## ბავშვთა აღზრდა ქვეყნის პრიორიტეტია

## ხალხის აზრი




ვიზალიბერალიზაცია – გზა ევროკავშირამდე!...

გვ.4

## მგზავრობა გაძვირდა



გვ.3

## პროფესიონალური ქამრები მსოფლიო ჩემპიონებს



გვ.6


„კახეთის საათი"

„ობიექტივზე"

ახალი დროით

კვირა 12:30


C M Y K

# მგზავრობა გაძვირდა

***საწვავზე ფასის მატების გამო კახეთის რეგიონში ტრანსპორტით მგზავრობა გაძვირდა. ერთი ლარით გაიზარდა კახეთის ყველა ქალაქში შიდა მგზავრობის საფასური, გაძვირებულია დედაქალაქთან დამაკავშირებელი ტრანსპორტიც. რაც შეეხება დედოფლისწყაროს, თბილისამდე კერძო ტაქსებით მგზავრობამ 2 ლარი მოიმატა და იანვრიდან 10 ლარს შეადგენს. ამ დროისთვის უცვლელია დედოფლისწყარო-თბილისის მიკროავტობუსით მგზავრობის საფასური.***

ტაქსის მძღოლები ამბობენ, რომ იძულებულნი გახდნენ მგზავრობის ფასი გაეზარდათ, რადგან ხარჯებს ველარ ფარავდნენ.

„ბოლო ხანს მგზავრთა ნაკადმა ძალიან იკლო, ადრე თუ მთლიანად ვავსებდით ავტომანქანას და სრული დატვირთვით ვმგზავრობდით, დიდი ხანია იშვიათი ფუფუნება გახდა, რომ რომელიმე მძღოლმა ყველა მგზავრი დასვას და ისე შეასრულოს რეისი. ვერ გეტყვით, ასე რატომ ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ზამთარზაფხულ ნაკლები მგზავრია და ის დატვირთვა აღარ გვაქვს, რაც წინა წლებში იყო. ხშირად სამი მგზავრით გვიხდება სიარული. ამას ისიც დაემატა, რომ ახალი წლიდან საწვავის ფასმა მნიშვნელოვნად მოიმატა და სხვა გზა აღარ გვქონდა. ხშირად არის შემთხვევები, როცა ორი-სამი მგზავრით დავდივართ, ასეთ დროს საწვავის ხარჯსაც ვერ ვფარავთ და ოჯახში ვერაფერი შეგვაქვს. ახლა ფასი რომ არ გაგვეზარდა, მუშაობის გაგრძელებას ველარ შევძლებდით. მგზავრობის გაძვირება, ალბათ, მგზავრობის მსურველთა ოდენობას გარკვეულწილად კიდევ შეამცირებს," - აღნიშნავენ კერძო ტაქსების მძღოლები.



დედოფლისწყაროში მოქმედ ავტოსადგურში, საიდანაც თბილისის მიმართულებით რეისები სამარშრუტო მიკროავტობუსებით ყოველ საათში ერთხელ სრულდება, აცხადებენ, რომ მგზავრობის ფასები არ გაზრდილა. მიკროავტობუსების მძღოლები ამბობენ, რომ მოსახლეობას უჭირს და ამ ეტაპზე, საწვავის გაძვირების მიუხედავად, ბილეთზე ფასის მატებას არ გეგმავენ.

„ჩვენ, ძირითადად, ერთგული კლიენტი გვყავს. თუ გახსოვთ, ბოლო ხანს ფასი დავაკელით და ამან შედეგიც გამოიღო. ჩვენი პრინციპული მიდგომაა, რომ დღევანდელ რეალობაში რამდენიც უნდა მოიმატოს საწვავმა, ბილეთის ფასის გაზრდას არ ვფიქრობთ... ისევ 5 ლარად დავდივართ, ვითვალისწინებთ მოსახლეობის მწირ ფინანსურ შესაძლებლობებს და ფასს შევინარჩუნებთ. ვფიქრობთ, იმ ხალხის ნაწილი, ვინც ტაქსით სარგებლობდა, ამჯერად მიკროავტობუსით იმგზავრებს," - აღნიშნავენ მიკროავტობუსის მძღოლები.

დეოფლისწყაროელი მგზავრები კმაყოფილებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ მიკროავტობუსით დედაქალაქში მგზავრობის ფასი არ გაძვირებულა. უკმაყოფილება ისმის მათი მხრიდან, ვინც ტაქსებით სარგებლობდა. მგზავრები მიიჩნევენ, რომ ფასის მატება არაპროპორციულად მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ტაქსებით მგზავრობა გაცილებით კომფორტულია, მოსახლეობა მიკროავტობუსის დადებით მხარეებზეც საუბრობს.

„ხალხს ძალიან უჭირს და ტრანსპორტის გაძვირება მოსახლეობაზე ცუდად აისახება. დედაქალაქში მგზავრობა, ძირითადად, უფრო სტუდენტებს, აბიტურიენტებს და მათ მშობლებს უწევთ ხოლმე, შესაბამისად მათ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვება. არადა, მათი ხშირი მიმოსვლა დედაქალაქში აუცილებელია. ამიტომაცაა, რომ მშობლები ძირითადად ბარგის გატანებით სარგებლობენ და წასვლას ერიდებიან, რათა ხარჯები დაზოგონ. ისე, მთლად მძღოლების ბრალეულობა არ არის, მაგრამ ვფიქრობთ, 2 ლარით გაძვირება ძალიან ბევრია. თუმცა, ფასს რომ თავი დავანებოთ, თბილისში მაინც მიკროავტობუსით წასვლა მირჩევნია. არ შეიძლება დასავლეთ საქართველოში მგზავრობაც 10 ლარი ღირდეს და დედოფლისწყაროშიც. მიკროავტობუსი ბევრისთვის მისაღებია. უპირატესობა ის აქვს, რომ ასეთ შემთხვევაში ზუსტად ვიცით რომელ საათზე გავა და ზედმეტი ცდა და სხვა მგზავრების ლოდინი არ გვიწევს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როცა ადამიანი დედაქალაქში მიდის, ყველას თავისი საქმე აქვს და პრინციპულად მნიშვნელოვანია იცოდე, რა დროს იქნები დანიშნულების ადგილზე. როდესაც კერძო ტაქსში ჯდები, ვერცერთი მძღოლი ვერ აკონკრეტებს, რამდენ ხანში შეძლებ გამგზავრებას და ეს იმაზეა დამოკიდებული, სხვა მგზავრები როდის მოვლენ... ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ორ ტრანსპორტს შორის მგზავრობის ხანგრძლივობაში სხვაობა თითქმის არ არის და გამოდის, რომ არანაირი უპირატესობა არ რჩება ტაქსს, ხშირ შემთხვევაში მიკროავტობუსი გვირჩევნია კიდეც," - აცხადებენ ადგილობრივები, რომელთაც მეც ვეთანხმები. მოგეხსენებათ ჩემი ტელეგადაცემები თბილისის სტუდიიდან გადის, რის გამოც მერამდენე წელია, ხშირად მიწევს დედაქალაქში მგზავრობა. თბილისში წასვლისას უპირატესობას მიკროავტობუსს ვანიჭებ, რადგან აქედან ყოველთვის მეჩქარება და ტრანსპორტის გასვლის დრო ზუსტად უნდა ვიცოდე, ზუსტი გრაფიკი კი მხოლოდ მიკროავტობუსებს აქვთ. უკან დაბრუნებისას კი ტაქსებს მივმართავ ხოლმე. დაკვირვებული ვარ, ორივე ტრანსპორტს გზაში ორი საათი სჭირდება.

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა რა ვითარებაა წნორი-დედოფლისწყაროს სამარშრუტო ხაზზე და ხომ არ შეეხო ფასის მატება ამ ხაზით მოსარგებლე მგზავრებს. მოგეხსენებათ, ეს მარშრუტი ხელსაყრელია სოფლების: ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, მირზაანის და ოზაანის მაცხოვრებლებისთვისაც, რომლებიც რაიონულ ცენტრთან, ან ქალაქ წნორთან დაკავშირებას ამ გზით ახერხებენ. როგორც გაირკვა, თელავისა და წნორის მიმართულებით სამარშრუტო მიკროავტობუსების მგზავრობის საფასური კვლავაც უცვლელია. მგზავრების სიმცირეზე საუბრობენ ქალაქ დედოფლისწყაროში მოძრავი შიდა ტაქსებიც. მიზეზად ეკონომიურ სიდუხჭირეს ასახელებენ და ამბობენ, რომ ტაქსით მგზავრობა ბევრისთვის ფუფუნებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ შიდა ტაქსები ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დგანან, მოსახლეობა მაინც ფეხით გადაადგილებას ამჯობინებს.

**მოკლედ, ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, თბილისში წასვლას თუ გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, მიკროავტობუსით მგზავრობა 5 ლარი, ტაქსით კი 10 ლარი დაგიჯდებათ.**

ილია მარტყოფლიშვილი

# დედოფლისწყაროში წარმოებული პროდუქციის ბრენდირება თვითმმართველობის საზრუნავია

8 თებერვალს დედოფლისწყაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ბიზნეს ფორუმზე რაიონში ეკონომიკური განვითარებების მიმართულებები განიხილეს.



შეხვედრაზე ასევე დაისახა გეგმები ადგილობრივი საწარმოო ნიშნის - "წარმოებულია დედოფლისწყაროში" - პოპულარიზაციის შემდგომი ნაბიჯების განსახორციელებლად.

ადმინისტრაციულ შენობაში თვითმართველობის წარმომადგენლებს, ადგილობრივ ბიზნესმენებს, მეწარმეებსა და ფერმერებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს ბიზნეს ფორუმების სხვადასხვა საკითხი.

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „მზად ვარ, თავდასხმები ავიტანო"



*ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი თემა სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკურ სექტორში მიმდინარე მოვლენებია - ლარის კურსით დაწყებული თუ ამა თუ იმ პროდუქტის გაძვირება-გაიაფებით დამთავრებული. შესაბამისად, ფინანსთა მინისტრთან ბევრი კითხვა დაგროვდა. შევეცადეთ,* **დიმიტრი ქუმსიშვილთან** *ექსკლუზიურ ინტერვიუში მაქსიმალურად მიგვეღო პასუხები ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც დღეს საზოგადოებას აღელვებს.*

**- თქვენი ინფორმაციით, როგორ მიმდინარეობს მთავრობაში ოპტიმიზაცია როგორც ხარჯების, ისე კადრების შემცირების კუთხით? როგორ კონტროლდება, რომ შესამცირებელი თანამშრომლები არ დაიყონ "პატრონიან-უპატრონოებად" და "უპატრონოები" გაათავისუფლონ სამსახურებიდან?**

- ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო და თავის 4-წლიანი განვითარების გეგმაში გაითვალისწინა, არის მთავრობის მიმდინარე ხარჯების შემცირება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. თუ დღეს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 26%-ია, დროთა განმავლობაში 21%-მდე უნდა შემცირდეს.

ეს ჯამურად ნიშნავს იმას, რომ 4 წლის განმავლობაში 5 მილიარდი ლარი არ დაიხარჯება მთავრობის მიმდინარე ხარჯებზე და შესაბამისად, კაპიტალურ ხარჯებს მოხმარდება.

ეს ჩვენს ეკონომიკას კიდევ უფრო გაზრდის და შესაბამისად, უფრო მეტ სტიმულს მისცემს კერძო სექტორს განვითარებისთვის. მეორე - ჩვენ საკანონმდებლო დონეზე განვსაზღვრეთ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა ფაქტობრივი დანახარჯები 10%-ით უნდა შეამცირონ. ეს ეხება როგორც მიმდინარე ხარჯებს, ასევე ხელფასს, დანამატსა და პრემიას. რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაზე ამას ვერ განვავრცობდით, მაგალითად, ძალოვან უწყებებზე - პოლიციელს, რომელიც ემსახურება ქვეყანას და მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება, ხელფასის შემცირება, ალბათ, არ უნდა შეეხოს. ხარჯები რომ შემცირდება, ეს ბიუჯეტით არის გათვალისწინებული და საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული. ეს ყველაფერი არის იმის გარანტია, რომ თანხები ნამდვილად დაიზოგება. რაც შეეხება იმას, რომ ვისაც არა ჰყავს "პატრონი", დაიჩაგრება და ვისაც ჰყავს, დარჩება სამსახურში, ამაზე პრემიერმაც განაცხადა და მეც ვთქვი, რომ ამ საკითხისადმი ძალიან მკაცრი დამოკიდებულება იქნება მთავრობაში. პროფესიონალები სამსახურში უნდა დარჩნენ და ამას მკაცრად გავაკონტროლებთ.

ყველა მინისტრი, უწყების ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, ფრთხილად უნდა იყოს და ძალიან გეგმაზომიერად, გააზრებულად მიიღოს ოპტიმიზაციის გადაწყვეტილებები. იქნებიან მენეჯერები, რომლებიც შეამცირებენ კადრებს და ხელფასს გადაანაწილებენ სხვებზე, მაგრამ ასევე იქნებიან მენეჯერები, რომლებიც კადრებს არ შეამცირებენ, მაგრამ შეამცირებენ სახელფასო ფონდს. ოპტიმიზაციის რა ფორმას აირჩევენ, მათი გადასაწყვეტი იქნება. ჩვენ გვექნება და გვაქვს კონტროლის მექანიზმები.

**- რომელიმე უწყებაში არის მასშტაბური შემცირებები მოსალოდნელი?**

- დღეს არც ერთი მენეჯერი არ ლაპარაკობს მასობრივ დათხოვნაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს მთავრობა, ანუ იმდენი მოხელე უნდა ჰყავდეს, რამდენიც სჭირდება. თუმცა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა ოპტიმიზაციაზეა ლაპარაკი, მისი განხორციელება მიმდინარეობს არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ ხელისუფლებაშიც.

**- ოპტიმიზაციის ფონზე, ხომ არ არის საჭირო რეგულაციების დახვეწა პრემია-დანამატების შესახებ? მაგალითად, ის, რომ ჩინოსანმა მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურებისთვის აიღოს პრემია?**

- თუ კონკრეტულ ორგანიზაციას განესაზღვრა სახელფასო ფონდი, რომელშიც უნდა შევიდეს ხელფასიც, დანამატიც და პრემიაც და ეს ფონდი წინა წელთან შედარებით 10%-ით ნაკლები უნდა იყოს, მაშინ იმ კონკრეტული უწყების მენეჯერმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ გასცემს დანამატს, პრემიას და შემდგომში ანგარიშვალდებული იყოს როგორც მთავრობასთან, ისე საზოგადოებასთან, თუ როგორ და რატომ გასცა ეს თანხა. თუმცა ერთ რამეში გეთანხმებით - თუ ჩვენ პირს ვაძლევთ პრემიას, ანუ ვაძლევთ ჯილდოს, ამას განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს.

**- არცთუ იშვიათად გაგვიგონია ბიზნესმენებისგან, რომ საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობისას ბევრი ბიუროკრატიული**

(გაგრძელება გვ. 3)

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „მზად ვარ, თავდასხმები ავიტანო"

(მეორე გვერდიდან)

**ბარიერის დაძლევა უწევთ, რაც კონკრეტული პროექტის განხორციელებას აფერხებს. თუ გაქვთ გეგმა იმისთვის, რომ ქვეყანაში ბიზნესის წარმოება უფრო გამარტივდეს, თუ იგეგმება ღონისძიებები იმისთვის, რომ ბიზნესს ნაკლები დრო ეხარჯებოდეს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში?**

- ჩემს უწყებაზე შემიძლია ვისაუბრო. ალბათ, გადასახადის გადამხდელის წუხილი იწყება მაშინ, როცა შემოსავლების სამსახური ამოწმებს. ჩვენი შემოსავლების სამსახური ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ რეგიონში. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს სამსახური, ფაქტობრივად, სრულ ელექტრონულ ურთიერთობაზე გადავიდა გადასახადის გადამხდელთან. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა, კანონმორჩილების გაზრდა, რათა ადამიანებს ესმოდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია გადასახადების გადახდა. გარდა ამისა, მოქალაქეებს უნდა ავუხსნათ, თუ როგორ უნდა გადაიხადონ გადასახადები. ამასთან, საგადასახადო კოდექსი მუდმივად უნდა დაიხვეწოს. როცა გასულ წელს ბიზნესის კეთების რეიტინგში 23-ე პოზიციიდან მე-16 პოზიციაზე დავწინაურდით, ეს სწორედ შემოსავლების სამსახურში განხორციელებული სწორი რეფორმის დამსახურება იყო. ზოგჯერ სამართლიანი პრეტენზიებიც აქვთ ჩვენს გადამხდელებს, მაგალითად, როცა გადასახადების დარიცხვა ხდება და გადასახადის გადამხდელი ამას არ ეთანხმება ან დიდხანს გრძელდება მისი შემოწმება. ისეც ხდება, რომ გადასახადის გადამხდელს გრძელი გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რათა გაასაჩივროს ის, რასაც არ ეთანხმება. თუმცა ერთი პრინციპული საკითხია: ბოლო კვლევების მიხედვით, გადასახადების გადამხდელთა 90%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ აუდიტი შემოსავლების სამსახურში ძალიან მეგობრული და ბიზნესის დამხმარეა. დარჩენილი 10% ჩვენი საზრუნავია. აქტიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ აუდიტის პროცესი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე - როცა გადამხდელთან შევა აუდიტის დეპარტამენტი, მან ზუსტად უნდა იცოდეს, რა პროცესები და პროცედურები მიმდინარეობს და შესაბამისად, ყველა ამ პროცესსა და პროცედურაში უნდა ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა.

მეორე მიმართულება, რაზეც ასევე აქტიურად ვმუშაობთ - აუდიტის თანამშრომელმა აბსოლუტურად სწორად და სამართლიანად უნდა დაარიცხოს ბიზნესს თანხა. როდესაც პრაქტიკა აჩვენებს, რომ დარიცხული თანხა სამართლიანი და ზუსტია, რა თქმა უნდა, ბიზნესი დაზოგავს იმ დროს, რაც მას გასაჩივრებაში ეხარჯება.

**- თუმცა სხვადასხვა უწყებაში არის სხვა ბიუროკრატიული ბარიერები - ე. წ. ქალ-ალდომანია, კონკრეტულ საკითხზე ამა თუ იმ უწყებისთვის მიმართვის შემთხვევაში პასუხებს თუ შენიშვნებს ნაწილ-ნაწილ იძლევიან, ცდილობენ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე არ აიღონ, რაც აფერხებს საქმეს...**

- ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. უკვე შევქმენით ბიზნესსახლის კონცეფცია. მასში 600-ზე მეტი სერვისი იქნება თავმოყრილი და პირველ რიგში კერძო სექტორს გაუმარტივდება სახელმწიფოსთან ურთიერთობა, დაზოგავს ფულს. ამავე დროს იქნება ძალიან ბევრი საკონტროლო მექანიზმი, რომ კერძო სექტორმა ყველა მოთხოვნაზე ადმინისტრაციულ ვადებში მიიღოს პასუხი.

**- გალარების პროგრამის დაწყებიდან ერთ კვირაში 220 სესხი გალარდა. საწყის ეტაპზე არის ეს ის შედეგი, რასაც გეგმავდით?**

- 2000-მა კაცმა მიმართა ბანკებს და 220-მა დაასრულა სესხის გალარება. 2 000 კაცი არის დაახლოებით 8% იმ სეგმენტისა, რომელსაც ჩვენ ერთჯერადი დახმარება შევთავაზეთ. შესაბამისად, ვფიქრობ, პირველ ექვს სამუშაო დღეში ეს არ არის ცუდი შედეგი. ეს ხომ ერთჯერადი აქციაა და სისტემამ მუშაობა დაიწყო.

**- ეკონომიკის „ამოსაქოქად" მთავრობამ გადაწყვიტა რეინვესტირებული მოგების დატოვება ბიზნესისთვის და ამის საკომპენსაციოდ აქციზების გაზრდა ბიუჯეტის შესავსებად. აქციზის ზრდამ ფასები დაუყოვნებლივ გაზარდა. როდის უნდა ველოდოთ ეკონომიკის ზრდის დასაწყისს?**

- ყველაფერს კომპლექსურად უნდა შევხედოთ, რომ დამახინჯებული სურათი არ მივიღოთ. მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ამოცანა სწორედ ეკონომიკური ზრდაა და ერთ-ერთი მიმართულება მთავრობის ხარჯების შემცირებაა. კიდევ ერთი მიმართულება ის არის, რომ დამა-ტებით დაახლოებით 14 მილიარდ ლარს დავხარჯავთ ინფრასტრუქტურაზე, რაც ეკონომიკის ზრდას ხელს შეუწყობს. ამავე დროს, მოგების გადასახადის რეფორმა ინვესტიციების წახალისებას ხელს შეუწყობს. ეს წელს დამატებით 500 მილიონის ლიკვიდურ აქტივებს კერძო სექტორში გვაძლევს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 1,3%-ია, რაც კერძო სექტორში დავტოვეთ, რომელიც გარანტიაა იმისა, რომ შეიქმნება სამუშაო ადგილები, ეკონომიკა განვითარდება. რაც შეეხება გადასახადების ზრდას - თამბაქოზე არ შევჩერდები, რადგან აქციზების ზრდის ვალდებულება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გვქონდა, არც ავტომობილებზე ვილაპარაკებ ბევრს, რადგან ახალ და ჰიბრიდულ ავტომობილებზე შეღავათები დაწესდა, ხოლო ელექტროავტომობილები საერთოდ ყველაფრისგან არის გათავისუფლებული... რაც შეეხება საწვავზე აქციზის გაზრდას, ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული გადაწყვეტილებაა, თუმცა იმთავითვე გვქონდა გათვლები, რომ ამას 1%-იანი ინფლაცია უნდა გამოეწვია, ანუ 1%-იანი ფასების ზრდა, მაგრამ თუ ჩვენ ამას ყველაფერს ჯამურად შევხედავთ, ეს ეკონომიკური ზრდაა.

**- გასაგებია, მაგრამ, მოდი, ჩვეულებრივი მოქალაქის თვალით შევხედოთ ყველაფერს - ის როდის იგრძნობს საკუთარ ჯიბეზე, რომ ეკონომიკა გაიზარდა?**

- სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მოქალაქეებს განკარგვადი შემოსავლები უმცირდებოდათ და არ ჰქონდათ შეგრძნება, რომ მათი შემოსავალი იზრდებოდა. 2010 წელს მოქალაქის განკარგვადი შემოსავლიდან სადღაც 10-11% მიდიოდა სესხის მომსახურებაზე, დღეს კი ეს მაჩვენებელი 24-25%-ია. აქედან გამომდინარე, უდიდესი პრობლემაა სწორედ სესხის მომსახურება და მისი გადაჭრა არის ლარიზაციის ამოცანა. დარწმუნებული ვარ, რომ რეფორმებით მოვახერხებთ იმას, რომ ადამიანების განკარგვადი შემოსავალი აღარც მცირდებოდეს და აღარც იზრდებოდეს ვალუტის კურსის მერყეობასთან შესაბამისობაში. შესაბამისად, ადამიანებს ხელფასი რომ გაეზრდებათ, ის გაზრდილი ხელფასი არ უნდა შეუჭამოს სესხის მომსახურებამ.

**- ბოლო კვირაში უკვე ორჯერ დაფიქსირდა საქართველოში კონტრაბანდული თამბაქოს შემოტანის ფაქტი. გაქვთ იმედი, რომ აქციზის ზრდასთან ერთად კონტრაბანდის ბუნებრივად გაზრდილ ნაკადებს გააკონტროლებთ?**

- საბაჟო-გამშვები პუნქტები აღჭურვილი არიან უთანამედროვესი ტექნიკით, მაღალი სიზუსტის სკანერებს შეუძლიათ სატვირთო ავტომანქანაში ძალიან მცირე ზომის ნივთიც კი აღმოაჩინონ. ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს მუდმივი თათბირები, რათა კონტრაბანდის მაქსიმალური პრევენცია მოხდეს. რა თქმა უნდა, ვიცით, სად არის რისკის ზონა, საიდან შეიძლება შეეცადონ კონტრაბანდის შემოტანას. ყველა შემთხვევას გავახმაურებთ, რომ არავის გაუჩნდეს სურვილი კონტრაბანდის შემოტანისა.

**- თუ არ ვცდები, სწორედ თქვენი ინიციატივით ამოქმედდა მაქსიმალური პროცენტის შეზღუდვა სესხებზე - წლიური საპროცენტო განაკვეთი - 100%-ს, სანქცია 150%-ს არ უნდა აღემატებოდეს. სხვათა შორის, თავად ონლაინსესხების ბიზნესის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ასეთი შეზღუდვების პირობებში მათი ბიზნესმოდელი ველარ იმუშავებს და წლიური საპროცენტო განაკვეთი 250-300% მაინც უნდა იყოს. მეტიც, ისინი ამბობენ, რომ სახელმწიფო შემოსავლებს დაკარგავს.**

- სახელმწიფო არაფერს კარგავს. ზოგადად, ეს მომთაბარე ბიზნესია. ასეთი ტიპის ბიზნესები საქმიანობას ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში იწყებენ და სანამ რეგულაციები დაუწესდებათ, აფართოებენ საქმიანობის არეალს და ხსნიან მაქსიმალურ მოგებას.

ონლაინსესხების კომპანიებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან რეგულაციები დაუწესდებოდათ. ამ ბიზნესს პლუსები ალბათ მხოლოდ მისი მფლობელებისთვის აქვს, მინუსი კი ძალიან ბევრია.

თქვენ, მოქალაქემ, სპონტანურად შეიძლება მიიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში უზომოდ ხარჯიანი იქნება. ბიზნესმოდელი, სადაც წლიური საპროცენტო განაკვეთი არის რამდენიმე ათასი პროცენტი, ჩვენთვის მიუღებელია და მომხმარებელთა დასაცავად ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით.

**- რეფორმები და ცვლილებები, როგორც წესი, იწვევს უკმაყოფილებას როგორც მოსახლეობის, ისე ბიზნესმენთა გარკვეულ ნაწილში (როგორც, მაგალითად, სასმლის, თამბაქოს ან ონლაინსესხების ბიზნესის წარმომადგენლებში). ალბათ, ისინი შეეცდებიან, არ დაუშვან შემოსავლების შემცირება ან მით უმეტეს დაკარგონ ზემოგებები. საინტერესოა, ხართ თუ არა მზად თავდასხმებისთვის თუნდაც იმ მიმართულებით, რომ შეეცადონ მთავრობის ან თუნდაც კონკრეტულად თქვენი საქმიანობის კომპრომეტირებას ან თავად მთავრობაში შეეცადონ ლობისტების პოვნას, რათა შეაფერხონ თქვენ მიერ დასახელებული რეფორმები?**

- ბინძური თამაშებისა და, ალბათ, შურისძიების მცდელობა იყო, თუმცა სახელისუფლებო გუნდი ერთიანი და ურყევია. ამ ერთიანობას ჩვენ ბოლომდე შევინარჩუნებთ და, შესაძლოა, მავანი ბევრს ეცადოს, მაგრამ ხელისუფლებაში მფარველებს ვერ იპოვის. საზოგადოებაც დაინახავს, სად არის სიმართლე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რეფორმები სასიკეთოა ქვეყნისთვის და მომავალში ამას ყველა იგრძნობს. ამისთვის მზად ვარ, განაწყენებულების თავდასხმები ავიტანო. თუმცა არ მინდა, ყველა ერთ ქრილში განვიხილო. მაგალითად, ნავთობიმპორტიორებთან გვაქვს ძალიან კარგი და აქტიური თანამშრომლობა. ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ თამბაქოს იმპორტიორებთან. მეტსაც გეტყვით, დიდი იმედი მაქვს, რომ დაახლოებით ორ თვეში ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შევიტყობთ საქართველოსთან დაკავშირებით ერთ-ერთი თამბაქოს იმპორტიორი კომპანიის გადაწყვეტილების შესახებ.



**- პრემიერმა ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში დააანონსა, რომ ონლაინკაზინოებს შემზღუდველი რეგულაციები დაუწესდებოდა. თქვენც თქვით, გასული წლის ნოემბერში "პალიტრანიუსის" ეთერში, რომ რამდენიმე თვეში მზად იქნებოდა რეგულაციების პროექტი. ხომ არ გაჭიანურდა ეს პროცესი და აქვს თუ არა მთავრობას მონახაზი, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს სფერო? ფაქტია, ამ სფეროში ძალიან დიდი ფული ტრიალებს. ლობისტები ხომ არ გამოუჩნდნენ ამ ბიზნესს და ეს ხომ არ იწვევს პროცესის გახანგრძლივებას? ეს, მით უმეტეს, გაუგებარია, როცა დღითი დღე უამრავი ადამიანი უბედურდება ამ თამაშებით?**

- სათამაშო ბიზნესი საკმაოდ რთული სფეროა და ჩვენი ლოკალური ცოდნით ეფექტიანი რეგულაციების დაწესება ძნელია. მთავრობის გადაწყვეტილებით, დავიქირავებთ საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო სახელის მქონე საკონსულტაციო კომპანიას. ასეთი კომპანიები სხვადასხვა ქვეყანას ეხმარებიან ონლაინკაზინოებისთვის ისეთი რეგულაციების დანერგვაში, როდესაც, ერთი მხრივ, დაცულია მომხმარებელთა უფლებები, ახალგაზრდა თაობა და ყველა ის ფენა, ვინც რისკის ჯგუფში შედის, და მეორე მხრივ, ბიუჯეტში შემოდის გადასახადები და ასეთი ტიპის ბიზნესსაც ეძლევა არსებობის საშუალება. ძალიან მარტივად რომ ავხსნა - წარმოიდგინეთ, რომ ყველა ონლაინკაზინოს სერვერი პირდაპირ არის მიერთებული შემოსავლების სამსახურის სერვერზე, სადაც ხდება ყველა ტრანზაქციის იდენტიფიცირება. ასევე, შექმნილია შესაბამისი ფილტრები და რეგულაციები მოთამაშის სწორი იდენტიფიკაციისთვის.

ეს მოგვცემს საშუალებას, დავიცვათ ახალგაზრდა თაობა და ყველა ის მოქალაქე, ვინც არ უნდა ითამაშოს. თქვენ შეგიძლიათ თამაშისგან დაიცვათ თქვენი ოჯახის წევრი. იმავდროულად, გამჭვირვალე სისტემიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტი მარტივად იღებს შემოსავლებს.

**- კონკრეტულად როდის დაიძრება ყინული და როდის შეარჩევთ ასეთ კომპანიას?**

- არა მგონია, ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდეს...

**- მთავრობა მუდმივად პოზიტიურ პროგნოზს აკეთებს ლარის კურსზე. ლარის კურსი ახლა მართლაც შედარებით დასტაბილურდა, მაგრამ კვლავაც მაღალი რჩება დოლართან მიმართებაში. თქვენი პროგნოზით, კურსი მეტად აღარ დაიკლებს?**

- რაც უფრო სწრაფად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და მეტი იქნება მისი ზრდა სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკებთან შედარებით, მით უფრო სტაბილური იქნება ლარი. სწორედ ეს არის ჩვენი ამოცანა, როდესაც ვამბობთ, რომ ეკონომიკა უნდა გაიზარდოს უფრო მეტად, ვიდრე იზრდება რეგიონში საშუალოდ და მსოფლიოში.

**- ცოტა ხნის წინ ფინანსთა სამინისტრომ რამდენიმე კომპანიას მსხვილი საგადასახადო დავალიანება ჩამოაწერა. ერთი მხრივ, ეს შესაძლოა, ჰუმანური ნაბიჯი იყოს, მაგრამ დროდადრო გადასახადების ჩამოწერა უსამართლობის განცდას ხომ არ უჩენს იმ ბიზნესს, რომელიც პატიოსნად იხდის გადასახადებს? ეს ხომ არ უბიძგებს მავანთ, რომ არ გადაიხადონ გადასახადები მათი ჩამოწერის იმედით?**

- საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადამხდელებს, რომელთაც აქტივობები არ უფიქსირდებათ, ჩამოეწერებათ, როგორც 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანებები, ასევე 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ დავალიანებაზე დარიცხული სანქციები, ძირითადი თანხის გადახდის პირობით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად 50 000-ზე მეტ გადასახადის გადამხდელს, რომელთაც ბოლო 5 წლის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა საქმიანობა, ჩამოეწერათ 2 მილიარდ ლარზე მეტი საგადასახადო დავალიანება. შედეგად, კომპანიებს რომლებსაც დავალიანების გამო შეჩერებული ჰქონდათ სამუშაოები, შესაძლებლობა აქვთ განაახლონ საქმიანობა. ასევე, ფიზიკურ პირებს, რომელთაც საგადასახადო დავალიანების გამო შეზღუდული ჰქონდათ საქმიანობის განხორციელება, მათ შორის დაქირავებით მუშაობა (საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღის და საინკასო დავალების გამო), შესაძლებლობა აქვთ განაახლონ საქმიანობა. დღეის მდგომარეობით 1000-მდე პირმა განაახლა საქმიანობა... ზოგადად, გადასახადები ყველამ უნდა გადავიხადოთ, თუ გვინდა, ჩვენი ქვეყანა განვითარდეს. სამართლიანი გადასახადების გადახდის საქმეში უკომპრომისოები ვიქნებით. ჩვენ ძალიან კარგი ადმინისტრირება გვაქვს, ანუ შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში არის 25,5%, მათ შორის გადასახადების ნაწილში 24,6%. თუმცა ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ შემოსავლები გაზარდო. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულის ცნობიერების ამაღლება, რომ მათ გადაიხადონ გადასახადები. ისე არავინ გამიგოს, რომ ფინანსთა მინისტრი პირველი, რასაც გააკეთებს, გაიქცევა და ძიძას, ტაქსისტს ან რეპეტიტორს ეტყვის, რომ გადასახადი გადაიხადოს. თუმცა ჯამურად ამ ბიზნესში 200-დან 300 მილიონ ლარამდე ტრიალებს, რომელიც არანაირად არ რეგულირდება.

**- სახელმწიფო სამსახურში თქვენ ბიზნესიდან მოხვედით, მათ შორის "პალიტრამედიის" ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელიც იყავით. სახელმწიფო სექტორში ყოფნისას გამოგდით, რომ კონკრეტული საკითხებისადმი პრობიზნესული დამოკიდებულება გქონდეთ?**

- ეკონომიკის მინისტრად მუშაობისას ჩემი ყველა გადაწყვეტილება ბიზნესისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. ფინანსთა მინისტრი სულ ორი თვეა, რაც ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთება იყოს კიდევ უფრო მარტივი და მიმზიდველი. თუმცა, რა თქმა უნდა, არაკეთილსინდისიერ მეწარმეებს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შევურიგდები.

გაზეთი „კვირის პალიტრა"

# ვიზალიბერალიზაცია–გზა ევროკავშირამდე!...



გასულ კვირას ევროპარლამენტმა საქართველოს ევროკავშირის ქვეყნებში ვიზალიბერალიზაციას მხარი დაუჭირა.

დემოკრატიული რეფორმების კონსოლიდაციამ და უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების გატარებამ, კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით შექმნილმა ახალმა რეალობამ საქართველოს მოსახლეობას გზა გაუხსნა ევროპისაკენ.

როგორც ყოველთვის, ჩვენმა რედაქციამ ამჯერადაც არ უღალატა მთავარ პრინციპს – ქვეყანაში მიმდინარე მთავარი სიახლეების გაშუქების კუთხით და წლის მთავარი თემა მთავარ სამსჯელოზე გამოვიტანეთ და ჩვენი რაიონის საზოგადოებას მივაწოდეთ განსახილველად,მათთან ერთად დისკუსიაში ჩაგვერთვნენ ჩვენი რაიონიდან წასული, დროებით საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც, თბილისში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები და ამ სფეროს ექსპერტები.

**-რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ვიზალიბერალიზაცია, რა სიკეთეს უნდა ველოდეთ მისგან და როგორ უყურებს ამას მოსახლეობა-ამ კითხვებზე ჩვენი მოსახლეობის ნაწილი გვპასუხობს.**

ცირო მარტიაშვილი, **დედოფლისწყაროს კულტსახლის დირექტორი**- ქვეყნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩვენთვის ადამიანებისათვის, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია! განსაკუთრებით მათთვის, ვისი ახლობლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, მათ აღარ დასჭირდებათ ხანგრძლივი და დამამცირებელი ლოდინი საელჩოებთან, კარგია მათთვის, ვინც სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ აპირებს, ნაკლები პრობლემები ექნებათ.. ღმერთმა ყველა დაიფაროს და სამკურნალოდ წასვლაც აღარ იქნება რთული, ვიზის პრობლემა მაინც მეტნაკლებად მოგვარებული იქნება, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მგონი ცუდი არ უნდა იყოს, ვნახოთ!!!

თეა ხარაშვილი, **ეკონომისტი** - ვფიქრობ, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ ერთი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა,თუმცა, მსვლელობა გრძელდება. კარგი იქნებოდა, ჩვენი ქვეყნის 50%-ს მაინც ჰქონდეს ფინანსური საშუალება,იმოგზაუროს,თავისი თვალით ნახოს, რა არის ევროპა.ჩვენში ამ გადაწყვეტილებით მიღებული მუხტი ძალიან დიდია,მაგრამ მე მაფიქრებს ის თანამემამულეები, რომელთათვისაც ეს შეღავათი კიდევ კარგა ხანს გამოუყენებელი დარჩება.რაც შეეხება უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს,ისინი ვინც არალეგალურად იმყოფებიან საზღვარგარეთ,მათთვისაც არაფერი დადებითი კუთხით არ შეიცვლება.ხოლო საქართველოს მიმართ ფინანსური კუთხით დაინტერესებას,თუკი ჩვენ უახლოეს პერიოდში ევროპული ოჯახის წევრები რეალურად გავხდებით,მაშინ უმსხვილესი ფირმების შემოსვლა და ინვესტიციების შემოდინებაც დაიწყება, რაც საქართველოს ეკონომიკური აღორძინების საწინდარი გახდება.

ციცია მამულაშვილი, **ღვინის ეროვნული სააგენტოს მრჩეველი** - ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას პირველ რიგში, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროპის ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას და იმ რეფორმებს, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. ამ მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ნაწილი ამჟამად არის ოკუპირებული და საქართველოსგან იზოლირებული. არა, რა თქმა უნდა, არ მაქვს ილუზია, რომ ხვალვე აიღებენ აფხაზები და ოსები საქართველოს პასპორტს ევროპაში გამზგავრების მიზნით, თუმცა, წლების შემდეგ, შედეგი უფრო თვალნათელი შეიძლება იყოს. პოლიტიკურის გარდა, რა თქმა უნდა, აქვს პრაგმატული მნიშვნელობა - კარგია, რომ საქართველოს ბევრ მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა წავიდეს და იმოგზაუროს ევროპაში, მით უმეტეს, როდესაც, თუნდაც ქუთაისიდან შესაძლებელია მისაღებ ფასებში ევროპის მიმართულებით გაფრენა. კიდევ, ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა ასევე ბევრ ინვესტორს დააინტერესებს საქართველოში საქმიანობით და ჩვენს ეკონომიკასაც დაეტყობა განვითარება, დასაქმდება ხალხი და გაუჩნდებათ სურვილი და ეკონომიკური შესაძლებლობა ევროპაში წასასვლელად.

მაკა სულაშვილი, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი** - ვიზალიბერალიზაცია არ ნიშნავს მხოლოდ ევროკავშირის წევრ და ასოცირებულ ქვეყნებში უვიზო გადაადგილებას. ეს ნიშნავს ევროპის კავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას, რასაც მე ძალიან მივესალმები. სახელი – ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება – უკვე გულისხმობს იმ გამოწვევებსა და პერსპექტივებს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე სრულიად ახალ რეალობას ქმნის. რაც უნდა ვიძახოთ, რომ სისხლხორცეულად და ისტორიულად ევროპის ნაწილი ვართ, ვფიქრობ, მაინც ბევრი გვაქვს ევროპისგან სასწავლი, უფრო სწორად კი, გასახსენებელი. კომუნისტურმა მმართველობამ მხოლოდ 70 კი არა, ბევრჯერ 70 წლით დაგვწია უკან და შეცვალა ჩვენი მსოფლმხედველობა და მიდგომები, რაც, ჩემი აზრით, დღემდე ბევრ სფეროში გვაფერხებს. ევროპის ბაზარზე გასვლა შეცვლის ჩვენს მიდგომებს, გააუმჯობესებს შიდა წარმოების ხარისხს და რეალურად გამართავს წელში საქართველოს ეკონომიკას. ევროპული სტანდარტების დამკვიდრება მოითხოვს გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები და შევიცვალოთ დამოკიდებულებები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში. დიახ, ევროპასთან ინტეგრაცია ნიშნავს შევიცვალოთ და გავხდეთ ისეთები, როგორებიც ოდითგან ვიყავით – უფრო მეტად კანონმორჩილები, მიზანდასახულები, მშრომელები და ჰუმანურები. სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ გაერთიანებებისა და კავშირების გარეშეც შეგვიძლია ფეხზე მყარად დადგომა. რასაკვირველია, თუ მოვინდომებთ, ყველაფერს შევძლებთ, მაგრამ რატომ უნდა გავაჭიანუროთ ეს პროცესი, როცა გვაქვს არაჩვეულებრივი ალტერნატივა? სკეპტიკოსები ასევე ფიქრობენ, რომ ევროგაერთიანებები დღეს ქმედითუუნაროა და მას უკვე ტოვებენ წამყვანი სახელმწიფოები. პირველი, ჩვენ არ ვართ წამყვანი სახელმწიფო და არსებული პრობლემების მიუხედავადაც მივიღებთ იმას, რაც ჩვენ გვჭირდება და მეორე – ჩემთვის ევროპა ნიშნავს იმ სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომელთაც გაიარეს ძალიან რთული და დიდი გზა ინკვიზიციიდან დემოკრატიამდე. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ნებისმიერი რყევა მხოლოდდამხოლოდ დროებითი პროცესია. ვულოცავ ჩვენს ხალხს და ჩვენს ხელისუფლებას მონდომებისა და შრომის დაფასებას და ვუსურვებ კიდევ ბევრ წარმატებას.

სალომე ნატროშვილი, **იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი** - ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, საბედნიეროდ, ჩვენთვის უკვე განვლილი ეტაპია, ჩვენ ეს გეგმა შევასრულეთ და მივიღეთ შედეგი - შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის, მოკლევადიანი ვიზიტებით. თავად შენგენის ზონა მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას და 4 არაწევრს, ასევე შენგენის ზონის წევრობის 4 კანდიდატს - ბულგარეთს, კვიპროსს, რუმინეთსა და ხორვატიას. ამდენად, საქართველოს მოქალაქეებს ევროპის 30 ქვეყანაში შეეძლებათ გადაადგილება უვიზოდ.

რაც შეეხება ამ მოვლენის შინაარსს, არცთუ ისე შორიდან რომ დავიწყო, ევროპის სივრცის ხელმისაწვდომობა და მასთან თანამშრომლობა საქართველოსთვის არის იმ ისტორიულ გამოსავალთან მიახლოება, რომლის ძიებაც ჯერ კიდევ 303 წლის წინ დაიწყო. ვგულისხმობ სულხან-საბას მოგზაურობას დასავლეთ ევროპაში. არ მოვყვები იმ მარტივ ჭეშმარიტებაზე საუბარს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაბიჯი ჩვენი სამომავლო განვითარებისთვის. ვიტყვი ძალიან კონკრეტულად: ევროპასთან უვიზო მიმოსვლა ნიშნავს ჩვენი ცნობიერების პერსპექტივის გამრავალფეროვნებას და გაფართოებას. უახლესი და ახალი ისტორიისგან განსხვავებით, ეს არის შესაძლებლობა იმისა, რომ დავინახოთ სხვა სივრცე (გარდა იმისა, რის გავლენის ქვეშაც ვართ 1783 წლიდან, ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის სახით).

ეს არის საშუალება იმისა, რომ დავინახოთ და დავაფასოთ წარმატებისა და კეთილდღეობის მიღწევისა და მოპოვების ნამდვილი გზა - შრომა და პასუხისმგებლობა, ცოდნის უალტერნატივობა, ჯანსაღი კონკურენცია, სოლიდარობა, ჩვევა იმისა, რომ სხვისი ადგილის დაკავება არ შეიძლება, რომ მარტივად ვერ გამდიდრდები, რომ თანასწორი და კონკურენტული გარემოს პირობებში ყველას შეუძლია იყოს განათლებული, დასაქმებული და დაფასებული, რომ არსებობის და გამოხატვის განსხვავებული ფორმები საშიში და მტრული ნამდვილად არ არის, რომ ადამიანები არ იყოფიან ბანაკებად, მათ აქვთ განსხვავებული აზრები, თუმცა აცნობიერებენ, რომ ყოველ მათგანს თანაბრად აქვს არსებობის უფლება.

რომ არჩევნებში იმარჯვებენ არა სიმპათიური ცხვირები ან თითები, ან თუნდაც ხმამაღლა და პათეტიკურად წარმოთქმული ტირადები, არამედ - საარჩევნო პროგრამები და ხედვები.

რომ სიცოცხლე ფასდაუდებელი ღირებულებაა, ისევე, როგორც ჯანმრთელობა, ღირსება და პირადი სივრცე. ამ პირობებში კი, ყველას შეუძლია, იყოს უნიკალური და გამორჩეული, როგორც ინდივიდების, ისე შიდა ეროვნულ დონეზე. ამ სივრცეში ტრადიციებს და კულტურას სამაგალითოდ უფრთხილდებიან და აზრი იმის შესახებ, რომ ვინმე ჩვენს ეროვნულ იდენტობას "წაგვართმევს" ან "მოგვპარავს" მხოლოდ იმ პროპაგანდის ნაწილია, რომლის მიხედვითაც ჩვენი ერთადერთი „გადარჩენის გზა" იყო და არის ის იმპერიალისტური ძალა, რომელიც ჩვენს ჩრდილოეთითაა.

გილოცავთ ყველას შესაძლებლობათა ამ უზარმაზარი და ძალიან მრავალფეროვანი სპექტრის გახსნას და ვისურვებდი, რომ მხიარულად და ნაყოფიერად გამოვიყენოთ ის და, ადრე თუ გვიან, მის ნაწილად ვიქცეთ.

ნატო პოპიაშვილი, **ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის თანაშემწე** - რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია იმ ადამიანებისთვის, ვინც ხშირად მოგზაურობს. ადვილი იქნება შვებულების დაგეგმვა საელჩოებში წინასწარ ჩაწერების, გასაუბრებების და სავიზო მოსაკრებლების გარეშე, ასევე ბიზნესსაქმიანობისთვის. მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის, ერთგვარად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და წინგადადგმული ნაბიჯია ევროპასთან დაახლოებისკენ.

კახა ოზაშვილი, **ბიზნეს-ადმინისტრირების სპეციალისტი, კომპანიის საოპერაციო დირექტორი** - ჩემი აზრით, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება 3 მიმართულებით არის სასარგებლო: 1) პოლიტიკური 2) ეკონომიკური 3) კულტურული. 1. პირველ რიგში ეს არის საქართველოს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იმ გრძელ გზაზე, რასაც ევროპასთან ინტეგრაცია და ევროკავშირში გაწევრიანება ჰქვია. ამასთან, უვიზო მიმოსვლით საშუალება ეძლევათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ ქართული პასპორტის მქონე მოქალაქეებს, რომ თავისუფლად იმოძრაონ შენგენის ქვეყნებში. ეს ფაქტი მათთვისაც ახალი შესაძლებლობაა და ვფიქრობ, დადებითად აისახება კონფლიქტურ რეგიონებთან ჩვენს ურთიერთობაზე. 2. მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია არ გულისხმობს ევროკავშირის ტერიტორიაზე არც ხანგრძლივი ცხოვრების უფლების მიღებას და არც სამუშაოს შოვნის საშუალებას, ეკონომიკური თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება ევროპაში თუნდაც მოკლე ვიზიტებით გაიჩინონ ბიზნეს კონტაქტები, საქართველოში ნაწარმოები პროდუქცია ევროპის ბაზარზე გაიტანონ და მოახდინონ რეალიზაცია. ეს კი, საბოლოო ჯამში, საქართველოში შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილები იქნება. 3. ერთერთი მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორი, რომელიც ევროპაში თავისუფალ მიმოსვლას ახლავს თან, არის კულტურული ნაწილი. ჩვენ მოგვეცემა საშუალება, დავინახოთ და გავიაზროთ, თუ რა არის ნამდვილი თავისუფლება. ასევე, გავიგოთ თუ როგორი კანონმორჩილები არიან ევროპელები და როგორ სცემენ პატივს ადამიანის უფლებებს.

ეთიკო ოზბეთელაშვილი, **შავი ზღვის უნივერსიტეტის ლექტორი** - ვიზალიბერალიზაცია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ერთერთი უდიდესი ნაბიჯი ევროპულ ოჯახში შესასვლელად. საქართველო თავისი ისტორიული წარსულით, ღირებულებებითა და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით იმსახურებს ევროპულ ოჯახში შესვლას. თუმცა, როგორც ერს, გვჭირდება თავდაჯერებისა და ცნობიერების ამაღლება. ქართულ და ევროპულ ღირებულებათა სისტემის გააზრება და გათავისება. ამ ნაბიჯიდანვე უნდა შევძლოთ საკუთარი თავის, როგორც უნიკალური ისტორიის, კულტურისა და ღირებულებების ერთად წარმოჩენა. ყველა მოქალაქემ უნდა გაიაზროს ის პასუხისმგებლობა, რაც ამ ცვლილებების თანმდევია და გამოიყენოს ეს შესაძლებლობა სასიკეთოდ. აუცილებელია ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების, სემინარებისა და რიგი ღონისძიების ჩატარება. 22 ქვეყანასთან ღია კარი ნიშნავს 22 უნიკალურ შესაძლებლობას, 22 გადაშლილ წიგნს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კულტურული და მოქალაქეობრივი ცნობიერების გაფართოებას. უვიზო რეჟიმი ერთგვარი გამოცდაა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც შეიძლება, როგორც სასიკეთო, ისე სავალალო ცვლილებები მოუტანოს ქვეყანას. ნებისმიერმა ევროპაში წასულმა ქართველმა მოქალაქემ უნდა გაიაზროს, რომ ის ჩვენი ქვეყნის სახეა, აკისრია ვალდებულება, იყოს კანონმორჩილი მოქალაქე. ნებისმიერი მოქალაქის ქცევა აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე. თუ ჩვენი მოქალაქეები ევროპაში „ხელის მოსათბობად" ივლიან და მარტივი გზებით ეცდებიან ჯიბის გასქელებას, ამისთვის ისინი არამარტო საკუთარ თავს, არამედ მთელს ქვეყანას მიაყენებენ ზიანს. სწორედ ამიტომ, ისევ და ისევ განათლება და ინფორმაციის სწორად მიწოდებაა საჭირო. ვიზალიბერალიზაცია სტიმული უნდა იყოს პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის. ჩვენს მოქალაქეებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობა, გაიფართოვონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ევროპულ კონტექსტში. იმედი მაქვს, რომ სასწავლო პროგრამებსაც დააკლდება ფასი ვიზალიბერალიზაციის შემდეგ და უფრო მეტ ქართველ მოქალაქეს მიიღებენ ევროპულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ეკა ბათიაშვილი, **ფარმაცევტი**-მე, როგორც ემიგრანტს, მიმაჩნია, რომ ვიზალიბერალიზაცია ჩვენთვის, ემიგრანტებისთვის, სასარგებლო დიდად არ უნდა იყოს, პირიქით, ამის შემდეგ შეიძლება კანონი შეიცვალოს ქართველი მოქალაქეების მიმართ და აღარ მისცენ რეზიდენტის სტატუსი, ანუ ლეგალურად ცხოვრების და მუშაობის უფლება.ჩვენთან (ესპანეთში) ჭორის დონეზე ბევრ ინფორმაციას ავრცელებენ, სინამდვილეში კი კანონი სანამ არ გამოვა,არავინ არაფერი ვიცით,სიახლეების მოლოდინში ვართ,ცოტა შიშიც გვაქვს, კრიმინალებმა არ ისარგებლონ ამით და ძარცვაყაჩაღობა არ გააჩაღონ აქ. მოკლედ, დიდად აღფრთოვანებულნი ჯერ არ ვართ, ვნახოთ, რა იქნება.

მარინა ტოკლიკიშვილი, **მირზაანის საბავშვო ბაღის აღმზრდელი** - ძალიან მიხარია, ჩვენი ქვეყნის ეს დიდი წარმატება, მომავალს მეტი იმედის თვალით ვუყურებთ.

ვანო ჩხიკვაძე, **ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს" ევროინტეგრაციის პროგრამის მმართველი** - ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ სოფელ არბოშიკში ცხოვრობთ. გყავთ შვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ საბერძნეთში წავიდა და იქ ქალაქ სალონიკში ბერძნულ ოჯახში მუშაობს, წლებია, არ გინახავთ. წასვლას ვერ ახერხებდით, რადგან საბერძნეთში წასასვლელად ვიზა გჭირდებოდათ. ამისთვის კი: 1. უნდა აგეღოთ ცნობა სამსახურიდან, სადაც ხელფასის შესახებ ინფორმაციას მიუთითებდით. 2. ბანკში ანგარიშზე თანხა უნდა გქონოდათ, რომელსაც ორი დღით ახლობელი გასესხებდათ და მერე უკან დაუბრუნებდით 3. უნდა შეგევსოთ ვიზის აპლიკაცია, რომელსაც თავს და ბოლოს ვერ გაუგებდით 4. გადაგეღოთ ორი ბიომეტრული ფოტოსურათი. 5. გადაგეხადათ სავიზო მოსაკრებელი 35 ევრო 6. დაგემატებინათ კიდევ 150 ლარი მომსახურების მოსაკრებელი თბილისში, ვერაზე მდებარე სავიზო ცენტრში 7. მანამდე, უნდა ჩამდგარიყავით ონლაინ რიგში 8. თვითმფრინავის ბილეთი დაგეჯავშნათ, რომელიც დღითი დღე გაძვირდებოდა, მაგრამ ვერ იყიდდით, რადგან შესაძლებელია ვიზა ვერ მიგეღოთ და ის ფული წყალში გადაგყროდათ. 10. მისულიყავით სადაზღვევო კომპანიის უახლოეს ოფისში და გაგეკეთებინათ სამოგზაურო დაზღვევა 11. არბოშიკიდან ამ საბუთებით დატვირთული თბილისში წამოსულიყავით 12. საბუთები ჩაგებარებინათ და იმაზე გეფიქრათ, მოეწონეთ თუ არა იმ ბიჭს, ან გოგოს, ვინც საბუთებს იბარებს ან რიგს აწესრიგებს. 13. უკან წასულიყავით და მინიმუმ მომდევნო ათი სამუშაო დღე ორ რამეზე გენერვიულათ: მოგცემდნენ თუ არა ვიზას და როგორ ძვირდებოდა ყოველ დღე თვითმფრინავის ბილეთი. 14. მეათე დღეს კი ისევ წასულიყავით თბილისში. ისევ ვიზის ცენტრში მისულიყავით და გადამწყვეტ მომენტს დალოდებოდით - მოგილოცავდათ ვიზის მიღებას ის ნაცნობი ან სხვა გოგო-ბიჭი, თუ გეტყოდათ - "სამწუხაროდ უარია. მიზეზი შეგიძლიათ დართულ წერილში ნახოთ" და წერილთან ერთად თქვენს პასპორტს უკან გამოგიწვდიდათ. ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, უვიზო მიმოსვლის პირობებში წარსულს ჩაბარდება. თქვენ აღარ დაგჭირდებათ ქალაქ თბილისში ვიზის გამო ორჯერ ჩასვლა, არც ევროს შესაბამისი ახლანდელი კურსით მოგიწევთ დაახლოებით 200 ლარის გადახდა. არ იფიქრებთ იმაზე, მოეწონეთ თუ არა რიგის მომწესრიგებელს ან საბუთების მიმღებს. შეიძენთ თქვენთვის ხელმისაწვდომ თვითმფრინავის ბილეთს, მაგალითად ავიაკომპანია ვიზეარის ბილეთს ქუთაისი-სალონიკიქუთაისი, რომელიც, შესაძლოა 200 ლარზე ნაკლებიც დაგიჯდეთ, დაჯავშნით სასტუმროს, გექნებათ გარკვეული თანხა ანგარიშზე, რაც თქვენს საზღვარგარეთ ყოფნას უზრუნველყოფს, აიღებთ დაზღვევას და წახვალთ შვილის სანახავად.

რისკი იმისა, რომ მესაზღვრემ ქვეყანაში არ შეგიშვათ, არსებობდა მანამდეც და არსებობს ახლაც. მთავარი იყო და არის, რომ მოგზაურობის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალური მიზანი თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან.

ეს არის ის, რასაც ნიშნავს უვიზო მიმოსვლას ქიზიყში თუ საქართველოს ნებისმიერ სხვა კუთხეში მცხოვრები ერთი რიგითი მოქალაქისთვის, რომელსაც დიდი ხანია, საბერძნეთში თუ სხვა ქვეყანაში წლების წინ წასული შვილის ან ახლობლის ნახვა სწადია.

ძვირფასო მკითხველო, დღეს ჩვენ შევეცადეთ, თქვენთვის ყველა კუთხიდან დაგვენახვებინა ჩვენი ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი სიახლე, რომელსაც დიდი ხანია, ველოდით, ვუერთდებით ამ სიხარულს, მოგილოცავთ ყველას, ვისაც გაგიხარდათ და ვისაც სამშობლოსთვის სიკეთე გსურთ!

ელზა ხარაშვილი

# ერს უნდა ესმოდეს არამხოლოდ თავისი ღირსებები, არამედ ნაკლოვანებებიც



ისტორიკოსს, ფსიქოლოგს, საუკეთესო პედაგოგს, მრჩეველს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საუკეთესო მოქალაქეს **ბესიკ (ბესო) გიგოლაშვილს** ყველა იცნობს. ის ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო არაა, გარდა უდიდესი ერუდიციისა, თავისი პიროვნული თვისებებით ბესო გიგილაშვილი მართლაც იმსახურებს ატაროს ხალხის რჩეული ადამიანის ტიტული. ბატონი ბესო თავის დროზე ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ახლო მეგობარი გახლდათ, რომელმაც მას მრჩეველობაც კი შესთავაზა, თუმცა მშობლიური დედოფლისწყაროს დატოვება არ აღმოჩნდა ადვილი ჩვენი თანამემამულისთვის. მის მიერ გამოთქმული აზრი, იმდენად მრავლისმეტყველია, რომ დიდ დროს აღარ დავკარგავ მის წარდგენაზე. გთავაზობთ ბესო გიგოლაშვილთან შემდგარ ინტერვიუს, რომელიც მეტად საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

**– ბატონო ბესო, როგორც ყველას ბიოგრაფია, თქვენი ამბავიც დაბადებიდან უნდა დავიწყოთ.**

– დაიბადე 1962 წლის 15 ნოემბერს, ცხოვრობდი დედოფლისწყაროში, დედა და მამა უბრალო ადამიანები იყვნენ, დედა ლამარა ბოსტოლანაშვილი წლების განმავლობაში ექთანი გახლდათ, მამა გივი გიგოლაშვილი მძღოლი, დაამთავრა დედოფლისწყაროს მეორე საშუალო სკოლა, როგორც თავად ამბობს, სკოლაში დიდად არ ბრწყინავდა სწავლით, მაგრამ ჰქონდა საინტერესო სამყარო, წიგნები. სკოლის შემდეგ ჩაირიცხა თელავის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური კამჩატკაზე, რომლის შემდეგ, სწავლა მოსკოვის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ფსიქოლოგია- ანთროპოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც ოთხი კურსი გაიარა. მოსკოვის უნივერსიტეტი საუკეთესო აღმოჩნდა მისი ცოდნის გამდიდრებისთვის, იქიდან მოსდიოდა ძალიან კარგი სამეცნიერო ლიტერატურა. მართალია ეს სასწავლებელი გარკვეული მიზეზების გამო ვერ დაამთავრა, მაგრამ იქ მიღებულმა ცოდნამ მაინც წარუშლელი კვალი დატოვა მის ცხოვრებაზე. წლების მანძილზე ბესიკ გიგოლაშვილი მუშაობდა სამხატვრო სკოლაში ხელოვნების ისტორიის პედაგოგად, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ, ადამიანის შესაძლებლობათა განვითარების ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, როგორც თავად ამბობს, ეს იყო საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი წლები, რამდენიმე სამეცნიერო სტატია სწორედ მაშინ შექმნა, წლები მუშაობდა კონსულტანტად და ჰქონდა კერძო პრაქტიკა, სამი წელი დაჰყო სასაზღვრო ჯარებში სამხედრო ფსიქოლოგიური აღზრდის დარგში სპეციალისტად, იყო გამგებლის მრჩეველი მართვის დარგში, შემდეგ თბილისში კერძო ოფისში მიიწვიეს სათანამშრომლოდ, თუმცა ჯანმრთელობის პრობლემამ შეუშალა ხელი და ყველაფერი მიატოვა. გადაწყვიტა, რომ ინდივიდუალური პრაქტიკა იყო მისი სფერო და აქ იგრძნო თავი ყველაზე კომფორტულად. უკვე 12 წელია, ბესო გიგოლაშვილი ამ კუთხით მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებულადაც. მის ხელში 600-მდე მოსწავლემ გაიარა, არის ინდივიდუალური პედაგოგი და თვლის, რომ მისი მოკრძალებული მიღწევებიდან ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა.

**– ცნობილია თქვენი წიგნების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული...**

-ეგ ერთ-ერთია, რაც მქონდა, წიგნების შეგროვება ჩემი მოკრძალებული ჰობი იყო, 5000-ზე მეტი წიგნი მაქვს, ამასთანავე მეგობრებმა პატივი მცეს და 3000-მდე წიგნის ელექტრონული ვერსია მაჩუქეს. მათ შორის ძალიან იშვიათი წიგნებისა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან ჩემი ცხოვრება არაფრით გამორჩეული არ იყო, მაგრამ მქონდა მიმოწერა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, 12 ქვეყნიდან მაქვს მიღებული წიგნები, მათ შორის ძალიან უნიკალურიც, ნაწილი რუსული ლიტერატურა იყო, ნაწილი ინგლისური, აღმოსავლეთ მცოდნეობაში ჩინური, იაპონური, რაც მე ჩემის მხრიდან უკვე დამუშავებული მაქვს. 15 წლის წინ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა შეისყიდა ჩემი წიგნები და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

**– რაში ხედავთ ჩვენი საზოგადოების სისუსტეს?**

– ქართველებს ერთი ნაკლი გვაქვს, ფორმას წინ ვაყენებთ ვიდრე შინაარსს, მე ბექა გონაშვილის ინტერვიუში ყველაზე მეტად მომეწონა ის, რომ იგი ორიენტაციას აკეთებს შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა, ლაღი ბავშვობა ჰქონოდა, მაგრამ თვითონ შრომობდა საკმაოდ ბევრს, ეს ძალიან დასაფასებელი თვისებაა, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით მასზე ათჯერ ნაკლები ეკონომიური შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ თითს თითზე არ აკარებს. ადამიანები აი ასე უნდა გაიზარდონ ჩვენთან. დღეს, ნებისმიერ ჩვენთაგანს გვაქვს სატარებელი ტვირთი, ვიღაცას ნაკლები, ვიღაცას – მეტი, მაგრამ მეტი რომ გაქვს შესაძლებლობა, შესაბამისად მოვალეობა და პასუხისმგებლობაც მეტია საზოგადოების წინაშე. ამდენად, რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, უფრო ნაკლებად დაგვწყდება გული იმაზე, რომ სხვას ჩემზე მეტი საიდან აქვსო? ბავშვი უნდა ავღზარდოთ ისე უბრალოდ, რომ რაღაც ღირებულების შექმნის სურვილი გააჩნდეს, ეს იქნება მატერიალური, სულიერი თუ ესთეტიური, მხოლოდ აქედან გამომდინარე მას აქვს უფლება, რომ კმაყოფილი იყოს.

**– ცნობილია, რომ სოკრატეს გარდაცვალების შემდეგ მის მოსწავლეებში შურმა და ურთიერთქიშპობამ, ქილიკობამ დაისადგურა, არადა, ისინი ერთმა ადამიანმა აღზარდა, საიდან გაჩნდა ეს ინსტიქტი სახელწოდებით შური, რომელიც დღემდე ღრღნის ქვეყნიერებას. რატომ ხდება ესე, რომ მდიდარს აინტერესებს ადამიანი მანამდე, სანამ შენ მასზე ღარიბი და საცოდავი ხარ, როდესაც ოდნავ წინ წადგავ ნაბიჯს, ხედავ მის ეგოიზმს. მერე უკვე იქექება იმაში, რომ კიდევ რა შეიძლება მოხდეს შენთან ისეთი კარგი, რომ შეგიშალოს, ხელი?**

– პირველი შურის გამომწვევი ისაა, რომ მაშინ, როდესაც დაუძლურებული ხარ საკუთარ ძალებში, შენ გეშინია ნებისმიერი წარმატება შენს გარშემო სივრცეში, იმიტომ, რომ იმ წარმატებამ შეიძლება სხვების ყურადღება გადაიტანოს იმ ეფექტზე და არა იქითკენ, რაც შენ გაგაჩნია. მეორე, ჩვენ ხშირად ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხოლმე ჩვენს გამარჯვებას და დიდ სიმაღლეებამდე აგვყავს. გამარჯვებები ყოველდღიურად უნდა იყოს, რატომაც არა, მაგრამ არ უნდა მივანიჭოთ დიდი მნიშვნელობა ამას, მთლიანობაში ეს გვზრდის, მაგრამ თქვენ დააკვირდით, რომ ხშირად ჩვენი გამარჯვება სხვების დაჩაგვრის პრინციპზე ხდება. აი, ეს პრინციპი სანამ იქნება საქართველოში, ვერასოდეს ვერ მოხდება, რომ საქართველო წინ წავიდეს. რაც შეეხება სოკრატეს მოსწავლეების განცალკევებებს და ურთიერთ ქიშპობას. თქვენ ვერ დამისახელებთ ისტორიაში მსგავს ვითარებას, სადაც დიდი ადამიანის წასვლის შემდეგ მონოლითურად დამდგარიყოს ის ორგანიზაცია ფეხზე. დაშლა არის ჩვეულებრივი პროცესი, შეიძლება ის მტკივნეული იყოს, მაგრამ დაშლა განვითარების ერთ-ერთი სტადიაა, რაღაც რომ იშლება შეიძლება იქიდან ორი სამი აღმოცენდეს სრულყოფილი და თვისობრივად მთლად ახალი, ალბათ ეს ჩვეულებრივი სტადია იყო სოკრატეს მოსწავლეებში. ასე იშლება დღეს პარტიებიც, ტელევიზიებიც. დღეს საქართველოში ორასი პარტიაა, აქედან ქმედითუნარიანია ერთი და ორი პარტია, დანარჩენები საერთოდ არ ჩანან და უნდა ვიცოდეთ, რომ დაშლა ჩვეულებრივი პროცესია, რომელიც როდისღაც აუცილებლად მოხდება.

**– ვიცით, რომ სიცოცხლეში თქვენთან სტუმრად ძალიან ხშირად მოდიოდა ყოფილი პრემიერი, აწ გარდაცვლილი ბატონი ზურაბ ჟვანია, დღეს თვალი გადავავლე პრესას და აღნიშნავენ, თითქოს სიმბოლურად მოხდა, საოცარი დამთხვევა, ვიზალიბერალიზაცია ამა წლის 2 თებერვალს მოხდა, ზუსტად 12 წლის წინ 3 თებერვალს კი ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, კაცი, რომელმა წარმოთქვა ევროპარლამენტის წინაშე „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი!“ მან თქვენ თავისი მრჩეველის თანამდებობაც კი შემოგთავაზათ, თუმცა თქვენ უარი უთხარით, რატომ ?**

– მე ზურაბ ჟვანიასთან მქონდა წელიწადნახევრიანი ურთიერთობა, ეს იყო მეგობრობა, თანამშრომლობა, როგორც გინდათ ისე დაარქვით, უდიდესი ინტელექტის მატარებელი, კრეატიული ადამიანი იყო, მას ჰქონდა ძალიან კარგი თვისება – დროის განცდა, რაც სხვა პოლიტიკოსებს არც დღეს და არც მაშინ ნაკლებად ჰქონიათ. მას ჰქონდა შორეული პერსპექტივის გათვლები, ვმუშაობდით საკმაოდ კრეატიულად, მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკასთან შეხება აღარ მქონოდა, რადგან, გულახდილად რომ გითხრათ, მე დამაფიქრა იმ გარემომ, რომელიც პოლიტიკურ წრეებში იყო, აქ არ იყო ხალხი (ჟვანიას გარდა) რომლის მიზანიც იქნებოდა საქართველოს კარგად ყოფნა, ეს იყო ხალხი, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იყვნენ და, სხვათაშორის, ეს სიტყვები მე ზურაბსაც ვუთხარი ჩვენი ბოლო საუბრის დროს, როდესაც დაინტერესდა, თუ რატომ ვამბობდი უარს მასთან თანამშრომლობაზე. მე ვუთხარი, რომ არ მომეწონა პოლიტიკაში ყოფნა, რადგან ისინი კარგი დარის შემქმნელები არ იქნებოდნენ. ასეთი შეხედულება მქონდა. მე ვიყავი ანალიტიკოსი, მაგრამ თვითონ ფაქტი იმის, რომ ჟვანიას სიცოცხლე სიკვდილით დამთავრდა, ცხადჰყოფს, რომ მე არ ვცდებოდი იმის შეფასებაში, რომ ის, რასაც მე ვხედავდი, არ იყო ჯანსაღი პოლიტიკა. ეს არ იყო უბრალო ადამიანთა ჯგუფი, ესენი მიეკუთვნებოდნენ იმ იშვიათ ადამიანთა ჯგუფს, რომლებმაც გარკვეული პერიოდი შეინარჩუნეს თავი პოლიტიკაში, არ ვგულისხმობ ჟვანიას და ამიტომაც მოხდა, რომ ის რაღაცეებს შეეწირა. ზურაბი იყო საკმაოდ კრეატიული, შემოქმედებითი პოლიტიკოსი, უცხოეთშიც ასე მიაჩნდათ. იმ თაობიდან გამოყოფდნენ. მე ვიტყოდი და უცხოეთშიც ასე მიაჩნდათ, ის იყო ერთ-ერთი ყველაზე წონიანი პრემიერ მინისტრი საქართველოში, თუ ყველაზე წონიანიც არა. მას, სხვათაშორის, იმაზე მეტი ეკითხებოდა ვიდრე პრემიერ-მინისტრს. ეს პოლიტიკოსისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მე ვფიქრობ რომ ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, საკმაოდ ეფექტურად წაიყვანდა ქვეყნის პოლიტიკას და ვიზალიბერალიზაციასაც ბევრად ადრე მივიღებდით მისი სიცოცხლის შემთხვევაში, ვიდრე დღეს მივიღეთ.

**– ხშირად მგონია, რომ ამ პატარა და ღარიბ ქვეყანას ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ჰყავს, ვიდრე უნდა ჰყავდეს, არადა, თუ ამდენი პოლიტიკოსის დაფინანსება შეგვეძლო, იქნებ ჯერ გაჭირვებიდან დაგვეღწია თავი, ერთ- ერთი კვლევა წავკითხე, რომლის შედეგად აღმოაჩინეს, რომ დაბალი შემოსავალი, პირდაპირპროპორციულია ადამიანის ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობასთან და აქედან გამომდინარე, მისი მუშაობის არაპროდუქტიულობასთან. ზუსტად 1000-ზე მეტ ადამიანზე სამი ათეული წელი იზომებოდა ეკონომიური სიდუხჭირე და დადგინდა, რომ მათ დაბალ ეკონომიურ მდგომარეობას ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკოგნიტური ფუნქციონირების გაუარესება იწვევდა, თქვენ რას ფიქრობთ?**

– ეს ძალიან დამაფიქრებელია, საუბედუროდ ადამიანები შევეჩვიეთ, რომ ჩვენი პიროვნული მე ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია გარემოებებზე, იმაზე მეტად ვიდრე უნდა იყოს დამოკიდებული. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად გერმანია, რომელიც ევროპის ლიდერი ქვეყანაა და მსოფლიო მასშტაბით თითქმის 22 %-ს უშვებს ინდუსტრიულ ნაწარმს, იქაც კი , სადაც განვითარება საკმაოდ მაღალია 75 % მოსახლეობისა კერძო სექტორშია დასაქმებული, ჩვენ საუბედუროდ შევყურებთ სახელმწიფოს, როდის მოგვცემს სამსახურს. მაშინ, როდესაც მე შემოთავაზებებზე 19 წელია, უარს ვამბობ და კერძო სექტორში ვარ დაკავებული. რადგან მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველა სახელმწიფოს არ უნდა დააწვეს კისერზე და ვიღაცა კერძო სექტორში უნდა იყოს დასაქმებული. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც არის სუპერ სახელმწიფო თავისი განვითარებით და მასზე მსოფლიო ინდუსტრიის განვითარების 24 % მოდის, იქაც კი, სახელმწიფო სამსახურში 300 მილიონი კაციდან დასაქმებული არის 800 ათასი ადამიანი, მაშინ როდესაც საქართველოში 4 მილიონიან მოსახლეობაში 400 000 სახელმწიფო სექტორში გვყავს დასაქმებული. ეს არის წარმოუდგენელი ციფრი და აქედან მინიმუმ დაახლოებით 40 -50 ათასი ადამიანი იღებს იმაზე მეტ თანხას, ვიდრე დანარჩენი საქართველო. ეს არის შეუსაბამობა, მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე ჩემი მოკრძალებული შრომით, ბევრს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ ჩემი კერძო პრაქტიკით, თუნდაც ერთი ადამიანს ვასწავლო, როგორ ჩამოსცილდეს სახელმწიფოს ამით, რომ პრეტენზიული არ ყოფილიყო ესიც დიდი საქმეა. ადამიანებმა დამოუკიდებლად საქმის მართვა უნდა ისწავლონ, კერძო სექტორებში უნდა გაიშალნენ და არა სახელმწიფოს დააწვნენ კისერზე.

**– პირველად მოვისმინე, რომ ამ კუთხით ვინმე საუბრობდეს.**

– გერმანიის წარმატებული კანცლერი ჰელმუტ კოლი თავის მემუარებში წერდა, წარმატებულ კაცად ვთვლიდი თავს , მაგრამ არსებობდა კაცი, რომელიც ჩემზე ბევრად წარმატებული იყო, ეს გახლდათ ის კბილის ტექნიკოსი, რომელიც ჩემს სადარბაზოში ცხოვრობსო, ის იმით არის უპირატესი ჩემზე, რომ მას შეუძლია შაბათ-კვირას „ვიკენდზე“ გაიყვანოს თავისი ცოლ-შვილი და დაისვენოს, მე ამის უფლება არ მაქვს, მას ეს უფლება აქვს. აი სად არის კულტი, უბრალო ხელოსანს როგორ აფასებდა და შენატროდა. ჩვენთან, საუბედუროდ, სახელმწიფოს შეუძლია ყოველნაირად ჩაძიროს მცირე ბიზნესი, ამერიკის შეერთებულ შტატები, ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი საერთოდ მცირე ბიზნესების ქვეყანაა.

**– რატომ უჭირთ ან რატომ არ უწყობენ ჩვენთან მცირე ბიზნესში ხელს, ან რა უნდა გააკეთონ, რომ ხელი შეუწყონ?**

– სახელმწიფოს შეღავათიანი პროგრამები უნდა ჰქონდეს წვრილი კაპიტალის განსავითარებლად. თუკი ჰოლანდიაში არაფრით გამორჩეულ ფერმერს 200-დან 600-მდე სული ძროხა ჰყავს და თითოეული იწველის 17-დან 25 ლიტრამდე დღეში. იქ სახელმწიფო აფინანსებს ამას. იქ ესმით, რომ იქიდან მიიღებს შემოსავალს. დღეს ირლანდია რატომაა უკვე სასწაული ქვეყანა? ამ საკითხზე სპეციალურად ვმუშაობ, ბოლო 50 წლის მანძილზე ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახდინა ის, რაც მოახდინა ირლანდიამ 4 წელიწადში. ზოგიერთ სფეროში 20- 25 % -ანი შრომის ნაყოფიერება აქვს ამ ქვეყანას, იმით რომ ირლანდიის მთავრობამ მიზნად დაისახა და შექმნა ძალიან ჯანსაღი განვითარების გეგმა, რომელმაც ხელი შეუწყო იმას, რომ საშუალო და წვრილ მეწარმეს მისცა ის შესაძლებლობა, რომ იარსებოს თავის ქვეყანაში და შეეწყოს ხელი, რათა ის არსად წავიდეს და მსოფლიოში გაბნეული ირლანდიელებიც დაუბრუნდნენ თავის ქვეყანას.

**– ვიზალიბერალიზაციაზე მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით რა მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა, რომ ღირსეულად გავიზიაროთ ევროპელობა და რა ინტერესები აქვს ევროპას საქართველოში, რა სურთ მათ ჩვენგან ამის სანაცვლოდ?**

– ნებისმიერი მოწინავე ინდუსტრიული საზოგადოება, ცდილობს რომ თავისი იდეოლოგიური მექანიზმებით გარკვეული გავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოებზე. მეორეა ის, რომ ასევე აითვისა დასავლეთ ევროპამ აღმოსავლეთ ევროპა, რომელიც ახლა გარდატეხის პროცესშია. რუმინეთი, ბულგარეთი და პოლონეთი მას შემდეგ, რაც წევრი ქვეყნები გახდნენ ევროკავშირისა, დღესდღეობით 5-7% -ით აიწია მათმა წლიურმა შემოსავალმა. თუკი საქართველოში კონკურენტუნარიანი საქონელი არ გვაქვს და მან ევროპაში ვერ მოიკიდა ფეხი, მაშინ ფაქტიურად ჩვენი წარმოება იქნება დაღუპული. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით რომ, პროდუქტის ხარისხი გავზარდოთ, რათა ევროპის ბაზარზე დავმკვიდრდეთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ შენი ადგილიც დაიმკვიდრე მსოფლიოში და ამით ქვეყნის კეთილდღეობასაც მიეცი უკვე სარგებელი. ამ თვალსაზრისით ევროპა გარკვეული ეტალონია, ჩვენ თუ რაღაც ვერ შევქმენით ისეთი რომ იქ გავიტანოთ, იძულებულნი ვართ მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ და თანდათან დავიხვეწოთ. მეორეს მხრივ გარკვეული შეღავათი იქნება ის, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა სასწავლებლად წავა და აღარ იქნება ეს შემაფერხებელი პროცესი. დღეს, როდესაც დამატებითი ხარჯები გჭირდება ევროპის ქვეყანაში სწავლისთვის, ვიზალიბერალიზაცია ამ დამატებითი ხარჯების პრობლემას შეამსუბუქებს, თანაც, უცხოეთში სხვანაირი სწავლებაა, იქ ხელი ეწყობა ახალგაზრდას იმაში, რომ მან ერთი სემესტრი ისწავლოს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში, მეორე სემესტრი სხვა ქვეყანაში, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთი დიპლომი აიღოს. ეს უკვე გვაძლევს ლავირების საშუალებას, სადაც უკეთესი კურსია, იქ მოვისმინოთ ლექციები. ასე შეიძლება ხუთგან მოუწიოს ახალგაზრდას სწავლა განსხვავებით ჩვენგან, სადაც სულ ერთ სასწავლებელში უნდა ისწავლო ხუთი წელი. სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნა შენ უკვე ცხოვრებასაც გასწავლის, ორგანიზებული ხდები და უკეთესად იცი, რა უნდა აკეთო. მთავარია ჩვენ გვესმოდეს, რომ არ გადავიქცეთ ევროპის პარაზიტებად, ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპისთვის გარკვეულად მისაღები, მათთვის სასურველი ქვეყანა იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ის მადლი, რაც მივიღეთ.

**– სოკრეტემ დაამკვიდრა გამონათქვამი „შეიცანი საკუთარი თავი“, თუმცა მას არ აპატიეს, რომ ის ირონიით უყურებდა ყველაფერ იმას, რაზეც ადამიანები საუბრობდნენ, რას იტყვით ამაზე, ხანდახან მგონია, რომ სოკრატე დღევანდელობასაც ეხმაურება, თუ ირონიით არ უყურე ამ ცხოვრებას, უკვე ძალიან ჭირს, გაუძლო ესოდენ დაუნდობელ ცხოვრებას.**

– კულტივირება ირონიის დამკვიდრების პროცესში სწორედ სოკრატეს მიუძღვის, გარდა მაგისა ახალ დროში ასევე იყო მისი მიმდევარი ფრანგი მოაზროვნე ვოლტერი, ვოლტერს აქვს გენიალურად ნათქვამი, რომ ერის შეგნებულობის დონე იმით გამოიხატება, თუ თავის ნაკლოვანებას რაოდენი მახვილგონიერი ირონიით შეაფასებს. ანუ, ერს უნდა ესმოდეს თავის ნაკლოვანება და არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ღირსება. ფრანგებს დააკვირდით, ის უაღრესად დემოკრატიული ქვეყანაა და მათ ეს დემოკრატიულობა თავის დროზე ძალიან მაღალზნეობრივი მოთხოვნიდან გამომდინარე რამდენჯერმე მოიპოვეს, მაგრამ დღეს ისინი მახვილგონიერი იუმორით აფასებენ საკუთარ თავს. ავიღოთ მსახიობი ლუი დე ფიუნესი, რომელიც გვასწავლის, რომ თვითირონია თვითაღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია.

**– დასაწყისში თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოში ახალგაზრდები იდეალს ვერ ხედავენო, რომ მიბაძონო, რატომ არ გვყავს იდეალი?**

– ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ მაშინაც კი, როცა მომავალზე ვფიქრობთ, მარტო აწმყოთი მაცხოვრებელი ხალხი ვართ. გვყავდნენ საქართველოში იდეალები, მაგრამ იმ იდეალებს ჩვენ თვითონვე ვსპობდით და მერე ჩვენ მივტიროდით, ჩვენი უბედურება მაგაშია, თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ თვითკმაყოფილ იდეალს. განა შეიძლება, რომ ყველაზე დიდი იდეალი, საქართველოს მეფე დავით

**(გაგრძელება გვ. 8)**

# პროფესიონალური ქამრები მსოფლიო ჩემპიონებს

***აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დასრულდა 2017 წლის ორთაბრძოლების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მიწვეული იყო სხვადასხვა ქვეყნების გუნდები. საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის სახელით მოასპარეზე დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ წარმატებით გამოვიდა სპორტულ ფორუმზე ტაილანდურ კრივში და მონაწილეები უკან ქამრებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.***





დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: მალხაზ ჯაგაშვილი, ირაკლი ჯამასპიშვილი, თეონა ფიროსმანაშვილი.. მეორე ადგილზე გავიდნენ: ლუკა მოდებაძე და ლევან ზვიადაური.

ფესტივალის დასრულების შემდეგ გაიმართა პროფესიონალური ორთაბრძოლები კიკბოქსინგში K-1 წესებით ჩემპიონის ქამარზე. სასიხარულოა, რომ დედოფლისწყაროელმა ბიჭებმა აქაც გვასახელეს, **არსენ ყარაგვეზაშვილმა** და **ვალერი ვაჭრიძემ** ბრძოლები წარმატებით დააგვირგვინეს, მათ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა საზეიმოდ მოარგეს წელზე „ჩემპიონის ქამრები“.

ასევე შესანიშნავად იასპარეზა **ლევან წიკლაურმა**, მაგრამ მეორე ორთაბრძოლაში, მცირე უპირატესობით, დამარცხდა აზერბაიჯანელ პროფესიონალ მებრძოლთან.

საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელობაზე და კონკრეტულ დეტალებზე სასაუბროდ გაზეთ „შირაქს“ სპორტსმენები ესტუმრნენ.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: „ბაქო ის ქალაქია, სადაც ყველა დიდი პრესტიჟული შეჯიბრება იმართება სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ამჯერად მიწვეული იყო რამდენიმე ქვეყანა საუკეთესო სპორტსმენებით: ირანი, თურქეთი, რუსეთის სხვადასხვა მხარეებიდან, კამჩატკიდანაც კი - საკმაოდ მრავალფეროვანი წარმომადგენლობა შეიკრიბა, ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის სხვადასხვა გუნდების სპორტსმენებიც. ამიტომ ჩვენთვის საამაყო იყო ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრზე მონაწილეობა. ჩვენ საქართველოს სახელით წარმოვადგინეთ ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაცია და ბედნიერი ვარ, რომ საუკეთესო შედეგებით დავბრუნდით. თავდაპირველად ფესტივალი ახალგაზრდებში გაიმართა, რის შემდეგაც უკვე პროფესიონალურ ქამრებზე დაიწყო ტურნირი. გაერთიანებული იყო თავისუფალი ორთაბრძოლების საერთაშორისო ფედერაცია და აზერბაიჯანის ტაილანდური კრივის ფედერაცია, სწორედ მათი ორგანიზებით ჩატარდა ეს მასშტაბური ფესტივალი.

ბაქოში გამგზავრების მთავარი მიღწევა პროფესიონალური ქამრების დაუფლებასთან ერთად ისიც იყო, რომ შედეგად არაერთი მიწვევა მივიღეთ და ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია. დიდი ხანია ვვოცნებობდით ამ მასშტაბის ტურნირზე, დიდი მოლოდინი გვქონდა. ახლახან, ტაილანდური კრივი ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და ესეც მისალოცი ამბავია. ამასთან, მარტის თვეში, ლუიზიანაში, ოლიმპიურ შტაბბინაში კიკბოქსინგის სახეობის განხილვაც მოხდება. იმედი გვაქვს, იქაც დადებითი გადაწყვეტილება გამოვა და კიკბოქსინგიც ოლიმპიური სახეობა გახდება. ამ მხრივაც დიდი მოლოდინი გვაქვს და უფრო გავაქტიურდით. ჩვენი ფედერაცია წელს გეგმავს ყველა კუთხით უფრო მეტად წარმოაჩინოს ეს სახეობა.

***– ორი ქამრით დაბრუნდით, თუმცა დედოფლისწყაროდან სხვა სპორტსმენებიც იყვნენ ბაქოში...***

– რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ორთაბრძოლებს, პროფესიონალურ მხარეს წარმოადგენდნენ ტიტულოვანი სპორტსმენები: ლევან წიკლაური, ვალერი ვაჭრიძე, არსენ ყარაგვეზაშვილი, ალექსანდრე ცხოვრებაძე და გოგონებში პირველად წარვადგინეთ ნანა ჩახვაშვილი. ასევე წაყვანილი გვყავდა პატარა სპორტსმენებიც.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს სპორტსმენებს, რადგან ძალები არ დაიშურეს და მთელი ენერგია ჩადეს. მზადების პროცესში ერთ ოჯახად შევიკარით და ძალიან ორგანიზებულად და მობილიზებულად წავედით. საბუთების მოგროვება იყო, თუ ვარჯიში, ყველაფერში გვერდით ვედექით ერთმანეთს. ზოგადად, ძალიან ცუდ დროს დაემთხვა, რადგან ძველით ახალ წელს იყო შეჯიბრება და ახალი წლის დღეებში სათანადო ფორმაში ყოფნა რთული მისაღწევია.. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გაიარეს და უმოკლეს დროში საუკეთესო ფორმაში ჩადგნენ. მითუმეტეს, რომ სადღესასწაულო დღეებში ასეთი მასშტაბური ფესტივალისთვის მზადება ადვილი არ არის. თუმცა, იქ ყველამ აღნიშნა ჩვენი გუნდის მომზადების მაღალი დონე და მობილიზება. ძველით ახალ წელსაც ბაქოში ერთად შევხვდით, დედოფლისწყაროდან სოციალური ქსელით და ინტერნეტით გულშემატკივრები გვილოცავდნენ, გვკითხულობდნენ, დიდი მხარდაჭერა იგრძნობოდა და ეს ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმული იყო.

***– თქვენი კლუბისთვის საზღვარგარეთ ტურნირებში მონაწილეობა და გამარჯვებების მოპოვება უცხო არ არის, თუმცა ეს ფესტივალი რითი იყო მნიშვნელოვანი?***

– ფესტივალზე საქამრე ბრძოლებში მივიღეთ მონაწილეობა და ეს ჩვენთვის პირველი იყო, მანამდე ქამრებისთვის არ გვიბრძოლია. ეს იყო პროფესიონალურ რინგზე პირველი გამოსვლა და ჩვენი მსოფლიო ჩემპიონების წარდგენა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იქ პრომოუტერებმა ნახეს ჩვენი შესაძლებლობები და შემდეგი ეტაპებისთვის ნაბიჯები უკვე გადაიდგა და კონტაქტი ჩამოყალიბდა.

***– არსენ, დღეს უკვე როცა შედეგი მიღწეულია და ქამარი ხელთ გაქვს, რა განცდაა და რას ნიშნავს შენთვის ეს წარმატება?***



– დიდი მომზადება დაგვჭირდა, თუმცა, ბოლოს წონასთან დაკავშირებით პატარა პრობლემა მაინც შემექმნა. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ ვარჯიშებზე გადავიტანე და ბოლო დღეებში სწრაფად დაკლება დამჭირდა, რომ საჭირო წონაში ჩავმჯდარიყავი. საბედნიეროდ ყველაფერი მოესწრო, წონა ჩავაბარე და ირანელ სპორტსმენს შევხვდი. ჰუსეინ ჰაბიბი საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენია, ტაილანდურ კრივში ვარჯიშობს და ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ამიტომ, სიმართლე გითხრათ, ძალიან ვღელავდი. მეტოქეს პირველად პრეზიდენტის სასახლეში პრესკონფერენციის მსვლელობის დროს შევხვდი, ტანითაც ჩემზე დიდი იყო და სიმაღლითაც. ამიტომ მე და ჩემმა მწვრთნელმა, მამაჩემმა, დავისახეთ გეგმა, რომ სხვა სტრატეგიით გვემოქმედა და ტექნიკური ილეთებით და ძლიერი დარტყმებით მომეგო, რომ არ დავეჯაბნე. ბრძოლაში ჩვეულებრივად რომ ავყოლოდი, შესაძლოა სამი რაუნდის განმავლობაში ძალით მომრეოდა და დავმარცხებულიყავი, ამიტომაც ამ სტრატეგიით ვიმოქმედე და საბედნიეროდ მისია შევასრულე. პირველ რაუნდშივე ძლიერი დარტყმების შედეგად ნოკაუტში ჩავაგდე და ორთაბრძოლა შეწყვიტა. ასე გავიმარჯვე... რაც შეეხება პროფესიონალურ ქამარს, კიკბოქსიორისთვის და ზოგადად, ნებისმიერი სპორტსმენისთვის პროფესიონალური რანგის ქამარი დიდი ოცნებაა. რთულია პროფესიონალურ რინგზე მიაღწიო ამხელა წარმატებას. ასეთ შეჯიბრზე არასოდეს მიმიღია მონაწილეობა და ჩემთვის პირველივე მცდელობის გამარჯვებით დასრულება წარმოუდგენელი განცდა და სიხარულია. მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს გვერდში დგომისთვის, რომ არა მათი მხარდაჭერა, ვერ შევძლებდით ბაქოში გამგზავრებას. ყველა სპორტსმენის ვიზიტი დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ასევე მადლობა ყველა გულშემატკივარს, დედოფლისწყაროდან წამოსულმა სითბომ და ყურადღებამ საკმაოდ დიდი მოტივაცია მოგვცა. ასევე დიდი მადლობა ჩემს სამსახურს, რომელიც ყველანაირად გვიწყობს ხელს, რომ მოვახერხოთ ასეთ ტურნირებზე გამგზავრება. მოგეხსენებათ მეც და ვალერიც სასაზღვრო პოლიციის №4-ე დედოფლისწყაროს სამმართველოში ვმუშაობთ და რომ არა მათი მხარდაჭერა, გართულდებოდა ამდენი წარმატების მიღწევა. რთულია, სამსახური და ვარჯიში ერთმანეთს შეუთავსო, მაგრამ ვახერხებთ ამას. გვაქვს საკმაოდ კარგი სპორტული დარბაზი და ძალებს არ ვზოგავთ.

ვალერი ვაჭრიძე: ორი ორთაბრძოლა გავმართე, საკმაოდ კარგი შეჯიბრი იყო. შევხვდი აზერბაიჯანელ და ირანელ სპორტსმენებს. ძლიერი მეტოქეები იყვნენ, საკმაოდ გამიჭირდა, მაგრამ ორივე ორთაბრძოლა ჩემი უპირატესობით დასრულდა, გავიმარჯვე და ქამარი მოვიპოვე. ყველა სპორტსმენი ოცნებობს ამ ქამარზე, თუმცა ბევრი ვერ აღწევს. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მწვრთნელს, თამაზ ყარაგვეზაშვილს, რადგან ამ შედეგში მისი უდიდესი წვლილი დევს და ის რომ არა, ალბათ ამხელა წარმატება არ იქნებოდა. ძალიან გვერდში გვიდგა, როგორც მწვრთნელი და როგორც მეგობარი.

***– რა განცდაა, როცა სხვა ქვეყნის მიწაზე იბრძვი საქართველოს სახელით?***

– სხვათაშორის, როდესაც აზერბაიჯანელ სპორტსმენს ვხვდებოდი იქ დაჩაგვრის მომენტები შეიმჩნეოდა. ჟიური მიკერძოებული იყო ადგილობრივი სპორტსმენის მიმართ და უსამართლობის განცდა გვქონდა. სწორედ ამ დროს თამაზი მასწავლებელმა შემომიძახა, რომ ზუსტად ახლა უნდა გვეჩვენებინა უფრო მეტი, რომ არაობიექტურ ჟიურის ჩვენი უპირატესობა ეღიარებინა. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და ვფიქრობ ამის წყალობით მოვახერხე გამარჯვების მოპოვება.

თამაზი: სპორტი ისეთი რამაა, წინასწარ არ იცი, რა შედეგით დაბრუნდები, შესაძლებელია მცირე შეცდომა და ორთაბრძოლა ძლიერმა სპორტსმენმაც წააგოს. რაიონის ხელმძღვანელობა და სპორტის ცენტრი ძალიან მეგობრობენ ჩვენთან, ბედნიერებაა, რომ ასე არიან დაინტერესებულნი და აქტიურად გვადევნებენ თვალს, ხშირად მოდიან ვარჯიშებზეც. მათი თანადგომით შევძელით ბაქოში წასვლა. იმ პირობებს, რაც ჩვენ წლების მანძილზე გამოვიარეთ და რაშიც ახლა ვართ, ვერც შევადარებ. ამჯერად კარგ პირობებში გვიწევს ვარჯიში. თუმცა დიდ სპორტს უკვე დიდი ხელშეწყობაც უნდა. ისეთი ბაზა გვჭირდება, სადაც სპეციფიური ინვენტარი იქნება. ახლა ისე ვემზადებით, როგორც, მაგალითად, ფეხბურთელმა ბურთის გარეშე ივარჯიშოს. უფრო მეტად თეორიულად და ფსიქოლოგიურად გვიწევს მომზადება. ეს ეტაპი ყველაფრის დასაწყისია. ახლა, როცა ოლიმპიური სახეობა გახდა, კონკურენციაც იზრდება და მისი პოპულარობაც დღითიდღე მზარდია და სხვა მასშტაბებზე გადის. ჩვენი ფედერაციის მიღწევები ამჟამადაც შთამბეჭდავად გამოიყურება. ბაზების სიმცირე გვაქვს ყველა რეგიონში, მაგრამ მთლიანობაში რაც ფედერაციამ მიაღწია, ბევრ დიდ და ძლიერ ქვეყანას შეშურდება. ამას სხვა ურთიერთობებით ვახერხებთ. ოჯახური გარემოს და თბილი დამოკიდებულების ხარჯზე ვართ წარმატებულები. ზოგადად, დედოფლისწყარო ერთერთი მოწინავე რაიონია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფედერაციაც აღიარებს, რომ ბევრი ძლიერი სპორტსმენი აღიზარდა ჩვენთან. სხვათაშორის, დედოფლისწყაროში გაცილებით მეტი გოგონა ვარჯიშობს, ვიდრე სხვაგან. დედოფლისწყაროში ჩვენთან მოვარჯიშეთა რაოდენობაც გაიზარდა. ნაწილს ჩემი ვაჟი ავარჯიშებს.

***– სამომავლო გეგმების შესახებ გვიამბეთ...***

– რაიონში წელს აუცილებლად ჩატარდება ძალიან ლამაზი შეჯიბრები, რამდენიმე ქვეყანა უკვე მოწვეული გვყავს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩავრთოთ სპორტში და ვაჩვენოთ ამ რაინდული სპორტის სახეობის სილამაზე და მისი დადებითი მხარეები. ბევრ დეტალს ჯერ ვერ გავამხელ, მაგრამ რამდენიმე კარგი სანახაობა დედოფლისწყაროს წინ ელოდება. მაყურებელმა უნდა მიიღოს ემოცია და იყოს ამაყი, დროშის აწევის ფასი უნდა შეიგრძნონ.

არსენა ყარაგვეზაშვილი: ბოლო ხანს გახშირდა საუბარი სხვადასხვა ნარკოტიკებზე და მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრეთა აქციები იმართება. ჩვენი მიზანი კი საწინააღმდეგოა, რომ ბავშვების ფსიქოლოგია შევცვალოთ, სპორტით დაკავდნენ და ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ. ბოლო ხანს ჩვენს კლუბში ვარჯიშის მსურველების რიცხვიც გაზრდილია. ბევრი პატარა ასაკის ბავშვი გვაკითხავს. საკმაოდ კარგი თაობა მოდის და დიდი პოტენციალი ჩანს, ვფიქრობ, ბევრი მსოფლიო ჩემპიონი გაიზრდება.

ილია მარტყოფლიშვილი

# აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!



„განუსვენე მაცხოვარო ჩვენო, მართალთა თანა მონათა შენთა და ესენი დაამკვიდრენ ეზოთა შინა შენთა, ვითარცა წერილ არს. უგულებელსჰყვიენ, ვითარცა სახიერ ხარ, შეცოდებანი ამისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი და ყოველნივე მეცნიერებით და უმეცრებით ქმნულნი, კაცთმოყვარე“.

*ლოცვა გარდაცვალებულთათვის, წარდგომა, ხმა 5.*

27 თებერვლიდან იწყება დიდი მარხვა, იქამდე კი ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის წინა მოსამზადებელი პერიოდია, რათა ადამიანები ხორცით თუ სულით გაძლიერებულნი შეხვდნენ მარხვის დაწყებას. მიმდინარე კვირა – 6-დან 12 თებერვლამდე, ყველაფრით ხსნილი იყო, მსგეფსის დღეებში ხორცის, თევზის თუ რძის ნაწარმის მირთმევა დაშვებული იყო ნებისმიერი ადამიანისათვის, მათ შორის ოთხშაბათ-პარასკევს მომარხულთათვისაც. გამორჩეულია მომდევნო ოთხშაბათი – 15 თებერვალიც. ამ დღეს აღინიშნება მიგებება, ანუ მირქმა უფლისა იესო ქრისტესი და ის თევზით ხსნილია. 20 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით ყველიერია, ანუ ხსნილი რძის პროდუქტებით. 27 თებერლიდან კი, როგორც დასაწყისშიც ვთქვით, იწყება საალდგომო მარხვა, რომელიც 16 აპრილამდე გრძელდება და გვირგვინდება იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომით. მარხვის პერიოდში სამი შაბათი დღე – 11,18, და 25 მარტი მიცვალებულთა მოხსენიების დღეებია. მიცვალებულთა მოხსენიების დღე ასევე 18 თებერვალსაც აღინიშნება. ამ დღისთვის, სასურველია, ყველა მართმადიდებელმა ქრისტიანმა საკურთხი გაუკეთოს თავის მიცვალებულებს, სანთელი და საკმეველი დაუნთოს და მათი სულები შეავედროს უფალს. საკურთხში ამ დღეს ყველანაირი საკვების გამოყენება შეიძლება, მაგრამ, როგორც ჩვენი წინაპრები და პაპა-ბებიები გვასწავლიდნენ, ორი რამ – წანდილი და კორკოტი



აუცილებელია.

საწანდილედ ვარჩევთ საღ, სავსე ხორბლის მარცვალს, ვრეცხავთ, ვათავსებთ ქვაბში, ვასხამთ ცივ წყალს ( ერთ წილ მარცვალს ოთხ წილ წყალს), ვდგამთ ცეცხლზე და ადუღებამდე რამდენჯერმე ვურევთ, რომ მარცვალი ძირზე არ მიეკრას და თავზე კი მოვქაფავთ. ადუღებიდან ორ-სამ საათში, როცა მარცვალი კარგად დარბილდება და წყალიც ნახევარზე ცოტა მეტი დააშრება, ქვაბი გამორთეთ და ცხელ-ცხელი კარგად შეფუთეთ მთელი ღამის განმავლობაში, მეორე დილით თბილი მარცვალი შეანელეთ თაფლით და ნიგვზით. ზოგი ქიშმიშს და ცოტა დარიჩნსაც უმატებს. ეს გემოვნებაზეა დამოკიდებული. მარცვალი მოსახარშად იმდენი წილი უნდა ჩავყაროთ და იმდენი სანთელი დავანთოთ, რამდენი ადამიანის მოსახსენიებლადაც ვაკეთებთ საკურთხს.

ახლა კი ვისაუბროთ ძველთაგან ქართველთა შორის საკმაოდ გავრცელებული საკვების კორკოტის ისტორიაზე. ძირითადად რელიგიურ რწმენა - წარმოდგენებთან დაკავშირებული, რიტაულური დანიშნულების საკვების - კორკოტის ბურღულის მოსამზადებლად წარსულში ხელსაფქვავი იხმარებოდა. ხელსაფქვავი ორი დიდი, მრგვალი ქვისგან შედგებოდა. ქვედა ქვა მთლიანი იყო, ზედა ქვას შუაში ხვრელი ჰქონდა. ისინი ერთმანეთზე მაგრდებოდა ხის, შემდგომში რკინის ლილვით, რომელიც სწორედ ამ ხვრელში ამოდიოდა. ზედა ქვას ხელის მოსაკიდებლად ერთი, ხან ორი ხის სახელური უმაგრდებოდა, რადგან ქვები მძიმე იყო და მისი დატრიალება ძალას მოითხოვდა. ამის გამო, ხშირად ორი ადამიანი ატრიალებდა. გამზადებული მარცვალი ღარში



ნელ-ნელა იყრებოდა. ქვედა ქვა უძრავი იყო, ზედა ქვის წრიული მოძრაობით ხორბალი იღერღებოდა და ნაპირებიდან ნელ-ნელა გადმოდიოდა. ამიტომ ქვებს ქვემოდან სუფთა ტილოს უფენდნენ.

აღნიშნულ სანაყს დღეს ძირითადად დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და მათ ბინა მუზეუმში დაიდეს. კორკოტისათვის საუკეთესო იყო დოლის ან უფხო ჯიშის ხორბლის რომელიმე სახეობა. საკორკოტედ მაძღარ მარცვალს იყენებდნენ. ამიტომ მარცვალს გადაარჩევდნენ და მშრალად, მისთვის განკუთვნილ ხის ჭურჭელში ინახავდნენ. როდესაც ფაფის გაკეთება დასჭირდებოდათ, ხორბალს ღამე წყალში დაალბობდნენ (ზოგი თბილ წყალში ალბობდა), დილით ამოიღებდნენ გარეცხავდნენ და მას მზეზე ან ცეცხლთან გასაშრობად გაფენდნენ. გამშრალ ხორბალს ტაბაკით აბერტყავდნენ, გაანიავებდნენ, მოხალავდნენ და დაფქვავდნენ ხელსაფქვავში. შემდეგ „უსმელ წყალს“ უმძრახად მოიტანდნენ და ვიდრე ფრინველი გაიღვიძებდა, ამ წყლით მოსახარშად დაადგამდნენ. დიასახლისი ქვაბში მიცვალებულის სახელზე მუჭით ღერღილს ჩაყრიდა, რომელიც იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი მიცვალებულისთვისაც იყო შესახელებული.

დუღილის დწყებიდან მოხარშვამდე, სასურველია ხის კოვზით მოვურიოთ. კორკოტი, წესის მიხედვით, ორი დღე მზადდებოდა. პირველ დღეს ხარშვის დროს, ზოგჯერ მასთან ერთად დაჭრილ ხახვსაც ხარშავდნენ, გადმოცემით ხახვიანი ხორბალი „ლაბოს უშვებს“ და კორკოტი უფრო გემრიელი გამოდის.

მოხარშულ ბურღულს ცეცხლიდან გადმოდგამდნენ და მეორე დილით კვლავ ნელ ცეცხლზე დაადგამდნენ. მერე ხახვს ერბოში, ზეთში, ცხვრის ან ღორის ქონში დალავდნენ და კორკოტს მარილით და ცხიმით შეაზავებდნენ. ცხიმს იმის მიხედვით იხმარდნენ, თუ რომელი დღისათვის იყო კორკოტი გათვალისწინებული. მარხვაში კორკოტი ზეთით ან ზეთით და ნიგვზით მზადდებოდა, სახსნილო კორკოტს კი სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით შეანელებდნენ.

კორკოტის ხარშვის დროს წესად იყო მიჩნეული მიცვალებულის სახელზე ქვაბის ნაპირზე ან მის ახლოს სანთლების ანთება. ოჯახის დიასახლისი სანთელთან მივიდოდა და იტყოდა; „მიაგებოს ჩვენს მკვდრებსო“, ხოლო შემდეგ ხმაამოუღებლივ იმ მიცვალებულის სახელს ჩაუთქვამდა, რომლისთვისაც კორკოტი იყო განკუთვნილი. მეორე დილით გამზადებულ კორკოტს პატარა ჯამით მეზობელს მიუტანდა, რომ მიცვალებულისათვის შენდობა ეთქვათ.

კორკოტს ყველა ოჯახი ამზადებდა შობას, დიდ სულთმოფენობას, აღგომის სწორზე – კვირაცხოვლობას. ზოგი კორკოტს აღების შაბათსაც აკეთებდა. კორკოტს ხარშავდნენ, აგრეთვე, მიცვალებულის „რიგებზე“ - ორმოცზე, წლისთავზე, იგი ზოგმა მიცვალებულთა დაკრალვის დღესაც იცოდა.

მიცვალებულისათვის კორკოტის მომზადების აუცილებლობაზე უნდა მიუთითებდეს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ თითქოს კორკოტზე მიცვალებულს უთქვამს, „თუ ხორბალი არ გაქვთ, ბაგა ამოწმინდეთ, ჩემ სამყოფ ხორბალს იქ იპოვით და კორკოტი გამიკეთეთო“. აქედან მოდის მიცვალებულთა ხსენების ერთ-ერთი დღე „ბაგაბაგაობა“ იგივე „ბაგანი გამონახეთო“. კორკოტი ხვავისა და ბარაქის ბედობაზეც მზადდებოდა. შობას კორკოტის მომზადების დროს ყურადღებას აქცევდნენ ფაფის „ნაღებს“, საითაც ნაღები „გაიჩეხებოდა“-შეგროვდებოდა, მათი აზრით იმ მხარეს მეტი და კარგი ყანები იქნებოდა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ კორკოტი წლის მოსავლის ბედობისთვის იყო განკუთვნილი.

ვინ იცის, კიდევ რა მნიშვნელობას მიაწერდნენ ჩვენი წინაპრები ამ გემრიელ და სასარგებლო საკვებს. დღესაც მოსახლეობა ხშირად იყენებს კორკოტს მიცვალებულთა დღეებისთვისაც და სხვა შემთხვევებშიც, მაგრამ შეიცვალა, უფრო სწორად, გაიოლდა მისი მომზადების წესი. დღეს კარგად მოხარშულ ხორბალს გადაწურავენ თუშფალანგში და ატარებენ ხორცის საკეპ მანქანაში, გადანაწური წვენით ათხელებენ მასას სასურველ კონდიციამდე, ანელებენ მზესუმზირის ზეთში მოდაღული ხახვით და მარილით. არის მეორე ვარიანტიც: გარჩეულ, გარეცხილ და გამშრალ მარცვალს მოხალავენ ტაფაზე, დაღერღავენ ბლენდერში, მოხარშავენ და შეანელებენ ასევე ხახვით, ზეთით და მარილით. მოხალულ მარცვალს უფრო მეტი სურნელი და განსხვავებული გემო აქვს.

ასე რომ, შაბათს, 18 თებერვალს მიცვალებულთა ხსენების დღეა. პატივი მივაგოთ ჩვენი ახლობლების ხსოვნას და უფალს შევავედროთ, რათა დაუმკვიდრდეს მათ ცათა სასუფეველი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ნაირა გორაშვილი

## ცოდვის წამალი

**ერთ ბრძენკაცს მიმართეს თხოვნით: იქნებ მოგეძევებათ ცოდვის საწინაალმდეგო წამალი? მოგვეცით, გზაზე დაგვაყენეთო.**

**-მაქვს, როგორ არა, -უპასუხა მან, -აი, ინებეთ ეს რეცეპტი:**

1. დაიმარაგე კეთილგონიერების ფესვი და ძირი.
2. დაკრიფე და შეაგროვე სულიერი სიწმინდის ყვავილები.
3. მოწყვიტე მოთმინების ფოთლები და ყლორტები.
4. შეკონე გულწრფელობის ყვავილთა თაიგული.
5. არ დაეწაფო მრუშობის ღვინოს.
6. ყველაფერი ეს გაახმე თავშეკავების მარხვით.
7. ჩადე კეთილ საქმეთა ქვაბში.
8. ზედ დააპკურე სინანულის ცრემლები.
9. მოაყარე კაცთმოყვარეობის მარილი.
10. ზემოდან გადააყარე თავმდაბლობის ფხვნილი.
11. შეკაზმე მოწყალების სიუხვით.
12. და მუხლმოყრისა და ქედისმოხრის ნდომით.
13. ყოველდღე შესვი ღვთისმოშიშეობის ნაყენის სამი კოვზი.
14. შეიმოსე სიმართლის სამოსით.
15. ერიდე ფუჭსიტყვაობის სიცარიელეს.

**თუ ყოველივე ამას შეასრულებთ, არასოდეს მოგეკარებათ ცოდვის სუსხი და სიბილწე.**

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინგა შიოლაშვილს დეიდის თინა ჟიჟიაშვილის გარდაცვალების გამო.

# ბავშვთა აღზრდა ქვეყნის პრიორიტეტია

საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვები დღის უმეტეს ნაწილს ატარებენ. თამაშობენ, სწავლობენ, იკვებებიან, იძინებენ, ამიტომ, ვფიქრობ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რაოდენ მნიშვნელოვანია ბაღის სისუფთავე, უსაფრთხოება, კვებისა თუ თამაშისმიერი სწავლების ხარისხი. საბავშვო ბაგა-ბაღი ის ადგილია, რომელიც ჩვენი შვილების ბედნიერ მომავალს უზრუნველჰყოფს, ამიტომაცაა ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების პრიორიტეტი სკოლამდელი განათლება, ჯანმრთელი და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრელო ცენტრის დაარსების მიზანი საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის გაუმჯობესება და იმ რეფორმების ხელშეწყობა იყო, რომლებიც სჭირდებოდა ამ სისტემას. სისტემა, მართლაც, კოორდინირებულად და ხარისხიანად მუშაობს. ამ წლების განმავლობაში საბავშვო ბაგა-ბაღების მართვა დაიხვეწა, გატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა.

ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 17 მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღია. მათში რეგისტრირებულია 924 ბავშვი. ბაღები მუშაობს დილის 9-დან საღამოს 6-ის ნახევრამდე. რადიკალურად შეიცვალა კვებაც.

მშობლები კმაყოფილებას ვერ მალავენ, გაიზარდა ბავშვთა რაოდენობაც და დასწრებაც, აინტერესებთ, ვინ და როგორ შეადგინა საბავშვო ბაგა-ბაღების მენიუ, რა ცვლილებები განხორციელდა და რა იგეგმება მომავალში. სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ ჩვენი **საუბარი ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის დირექტორთან** მაია ყორჩიაშვილთან.



– საბავშვო ბაგა-ბაღების მენიუ მშობლებისათვის, მართლაც, უმნიშვნელოვანესი საკითხია. ის ჩვენი სამსახურის კვების ტექნოლოგის, ლალი ნატროშვილის ხანგრძლივი მუშაობის შედეგი გახლავთ, – ამბობს ქალბატონი მაია. მენიუ ყველგან ერთნაირია, შესაბამისად ყველა ბავშვი, რომელ საბავშვო ბაგა-ბაღშიც არ უნდა დადიოდეს ის, ერთნაირად ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს იღებს.

აღსაზრდელთათვის განკუთვნული მენიუ, გასულ წლებთან შედარებით, უფრო მრავალფეროვანია და ყველა იმ საჭირო საკვებ პროდუქტს მოიცავს, რაც ბავშვის სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისთვის არის აუცილებელი (მეტი ხილი, ბოსტნეული, ხორცის და რძის პროდუქცია).

ამჟამად არსებობს 10 დღიანი პერსპექტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კართოთეკა, თითოეულ კერძზე შემუშავებული ბარათი, რომელშიც მითითებულია მასში შემავალი პროდუქტის განაწილება, ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების შემცველობა, კერძების კალორიულობა და მომზადების ტექნოლოგია.

ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებით პროცესს, რამდენად მოსწონთ ბავშვებს ახალი მენიუ, რა რაოდენობის საკვების ათვისება ხდება გაზრდილი კალორიულობისა და საკვების მრავალფეროვნების ფონზე.

**-კიდევ რა სიახლეა ბაღებში?**

2016 წელს დაინერგა და აქტიურად ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა.

პროგრამის სახელი - „თ-ა-მ-ა-შ-ი“ წარმოადგენს მისი ძირითადი ცნებების აკროსტიხს:

თ–თანამშრომლობა
ა–აღმოჩენა
მ–მოტივაცია
ა–არჩევანი
შ–შემოქმედითობა
ი–ინდივიდუალურობა

როდესაც ბავშვი საბავშვო ბაგა-ბაღში მიგვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ ის უბრალოდ კი არ თამაშობს, არამედ თამაშით ვითარდება. ჩვენი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებობს ასაკის შესაბამისი მეთოდოლოგიური პროგრამები, რომლებსაც აღმზრდელები იყენებენ, ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა სიტუაციაში სწორად მოქცევას, დათმობას, წესრიგის დაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, საკუთარი სურვილების გამოხატვას, სხვისი სურვილის გაგებას, კომუნიკაციას, ფერებს, რიცხვებს, ხატვას, ძერწვას, ქრას, მონაწილეობენ რეალურ თამაშებში და სხვა.

დარწმუნებული ვარ, 5-6 წლიანთა ჯგუფში დანერგილი სასკოლო მზაობის პროგრამის შედეგად, ჩვენი პატარები, რომლებიც 2017 წელს შევლენ სკოლაში, გაცილებით უკეთ მომზადებულები, კრეატიულები და განვითარებულები იქნებიან.

საბავშვო ბაგა-ბაღებში სიახლეა ისიც, რომ 2017 წელი, „წიგნიერების წლად“ გამოცხადდა. შეძენილია მრავალი წიგნი, ენციკლოპედია ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით, ასევე თვალსაჩინოება თემების მიხედვით, სხვადასხვა სახის სათამაშო ბავშვის მოტორული და სინაფსური უნარების განსავითარებლად.

ამ ყველაფრის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივი ხელმძღვანელობის და, ზოგადად, სახელმწიფო პრიორიტეტის გვერდში დგომის გარეშე.

**– გმადლობ საინტერესო საუბრისთვის, წარმატებას გისურვებთ.**

– მადლობა თქვენ.

ნაირა გორაშვილი

# ერს უნდა ესმოდეს არამხოლოდ თავისი ღირსებები, არამედ ნაკლოვანებებიც

(მეხუთე გვერდიდან)

ალმაშენებელი, რომელმაც „გალობანი სინანულისანი“ დაწერა, თვითკმაყოფილი ყოფილიყო? ეს გამორიცხული ამბავია. ასეთი ძალიან ბევრია, ჩვენ, ფაქტიურად, ჩვენივე ერის ტრაგედიას ჩვენივე ინდივიდუალურ არსებობაში აქტიურად ვახორციელებთ ხოლმე. ამდენად, ვთვლი, რომ ბევრი მტკივნეული დასკვნისკენ მიმავალ გზაზე თვითგანწმენდის ნაბიჯებით სიარული გველის. თუ თვითგვემაში არ ჩავიყენეთ თავი, ჩვენ ფაქტიურად და საუბედუროდ ვერ გავიზრდებით.

**– ვინ იქონია გავლენა თქვენს ცხოვრებაზე?**

– ბიძა გივი ბოსტოღანაშვილი, რომელიც გარდაიცვალა, იყო საკმაოდ ნაყოფიერი მეცნიერი და მწერალი, მისი შვილიც პროფესორია სამართლის დარგში და ასევე წარმატებული. სწორედ ბიძამ იქონია ნამდვილად ჩემზე დიდი გავლენა. მე მახსოვს, როგორ ვსეირნობდით მე და ის ერთად და როგორ მიხსენა ჯერ კიდევ ბავშვს ალბერ კამიუ და ეგზისტენციალიზმი (ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც გაუცხოებას სწავლობს) პროზასა და ლიტერატურაში. ამან მოახდინა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება. სხვათაშორის, მინდა აღვნიშნო, რომ გაუცხოვება დღეს არის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ადამიანებში, ალბერ კამიუს დაწერილი აქვს წიგნი „უცხო,“ სადაც კარგადაა ყველაფერი აღწერილი, თუ რა იწვევს ამას.

**– რელიგია არსებითი ნაწილია კულტურისა, იგი აუცილებელია და წარუვალი ღირებულება აქვს, რელიგია შეიცავს ისეთ რამეს, რასაც მეცნიერება ვერასდროს მისცემს ადამიანს, -ამბობს ჯორჯ უელს ბილდი. როგორი დამოკიდებულება გაქვთ რელიგიასთან?**

– ვერ ვიტყვი რომ ღრმად რელიგიური ვიყო, თუმცა ვაღიარებ იმას, რომ არსებობს ძალა, რომელიც ჩარეული იყო სამყაროს განვითარებაში, ძალიან ბევრი მორწმუნე არ დამეთანხმება ამაში ,მაგრამ მე მიმაჩნია, ადამიანი, როდესაც დაიბადა იმ მომენტიდან უკვე უნდა იბრძოლოს, მოზარდობიდან კი, საკუთარ თავზე რაღაც პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და ამ ბრძოლაში გამოიწრთოს, არ შეიძლება, მუდმივად, დღეში რამდენჯერმე, „მიშველე, ღმერთო, მიშველე, ღმერთო“ წარმოთქვა და თავად არაფერი გააკეთო ამისთვის. მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ხანდახან ღმერთსაც კარგად ვძარცვამთ ხოლმე ამით. თუკი ხარ პიროვნება უნდა გახსოვდეს, რომ ღმერთის წყალობას შეიძლება შენზე მეტად სხვა იმსახურებს. ამიტომ სანამ რესურსი გაქვს, უნდა იცოდე, რომ შენი საკუთარი ძალებით გასწვდე ყოველივეს. ხშირ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ღმერთს ვთხოვთ, შესაძლოა სხვას უფრო მეტად სჭირდებოდეს ღმერთის დახმარება, ან თავად ღმერთს უჭირდეს შეიძლება ჩვენზე მეტად და მას სჭირდებოდა დახმარება. (თვით იესო ქრისტეს მაგალითიც, ჯვარზე გაკვრისა და წამებისა ხომ ამაზე მიგვანიშნებს, რომ ის ყველაზე გაჭირვებული ადამიანი იყო იმ მომენტში.)

**– დონალდ ტრამპზე მინდა გკითხოთ, ის ახლახანს გახდა მსოფლიოს ზესახელმწიფოს პრეზიდენტი, ქვეყნისა, რომელიც მთელს მსოფლიოში ქმნის ამინდს, როგორი აზრის ხართ მისი მკვეთრი გადაწყვეტილებების მიმართ და საერთოდ ამ პერსონის მიმართ თქვენი აზრი მაინტერესებს?**

– ტრამპის მოსვლა განაპირობა არა იმდენად საკუთრივ პოლიტიკურმა ვითარებამ, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივმა ვითარებამ მსოფლიოში, კლასიკური გაგებით იგი არაა პოლიტიკოსი, ის ბიზნესმენია და შესაბამისად ეს იყო ძალიან სერიოზული წარუმატებლობა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე გავრცელებული ლიბერალური მმართველი ძალებისა. ფაქტიურად ცალმხრივად გამოცხადებული თავისუფლება მართლაც არ არის თავისუფლება, აქ გაკეთდა მობილიზება და ამან ტრამპის სახით იპოვა გამარჯვება, ლიბერალურმა საზოგადოებამ თავის არსებობის ერთი ეტაპი დაამთავრა და ეხლა მტკივნეულ განვითარებას განიცდის, მაგრამ, ერთი რამ ცხადია, ტრამპს ნაკლები პოლიტიკური გამოცდილება აქვს და თუ მას არ ჰყავს სერიოზული და სანდო მრჩევლები, დასაშვებია, მან რეალურად ვერ შეხედოს რაღაც-რაღაცეებს, ზესახელმწიფოს მართვა არაა ადვილი საქმე. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთი ეცდება, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ტრამპი, პუტინი გამოიყენებს იმ შანსს, რომ ტრამპი მისადმი გარკვეული პატივისცემითაა განმსჭვალული. ვნახოთ დოქტრინა როგორი იქნება, მე არა მგონია, რომ ძალიან დიდი სერიოზული ცვლილებები იყოს, მთავარია, ჩვენ როგორ მოვხვდებით მათი ფარული გარიგების ქრილში. საქართველო ხომ მათთვის ერთი პატარა, მაგრამ ორივესთვის საინტერესო და მიმზიდველი ქვეყანაა. ისე, არ დაგვავიწყდეს, რომ როდესაც დიდი სახელმწიფოები რიგდებიან, იქ პატარა სახელმწიფოებს ნაკლებად უწევენ ანგარიშს. ეს ჩვენი ბედია გარკვეულწილად.

ლალი მეხრიშვილი

# ულოცავენ!

## რუსუდან კიკილაშვილს! ზაზა სეხნიაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილის – სალომეს დაბადებას.

პატარა ქალბატონს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებულ მომავალს. თქვენ კი, ბედნიერი მშობლები იყავით, აკვანთა სიმრავლე დაგბედებოდეთ. გამორჩეული სიყვარულით ვულოცავთ ბებიაობას თამილა და მანანა გორაშვილებს შორეულ იტალიაში. გვჯერა, მათი სული და გული ახლა აქაა, თქვენს გვერდით და ძალიან ვენატრებით ყველა. ემიგრანტის ტყვეობიდან განთავისუფლებას და სამშობლოში დაბრუნებას ვუსურვებთ მათ.

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა,
ანგელინა, ლეილა გორაშვილები ოჯახებით.

## ლია ხაჩიაშვილს და ნოდარ კობაიძეს!

გილოცავთ შვილიშვილის ნიკოლოზ კობაიძის დაბადებას. ის ახლა უკვე ერთი თვის ბიჭუნა შესრულდა. დიდი ხნის ნანატრმა შვილიშვილმა თქვენს ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა. დაე, მის ცხოვრებას თან სდევდეს ბრწყინვალება და ამქვეყნიური ბედნიერება. საინტერესო, ნაყოფიერი, დაფასებული ცხოვრება მოემკას. სიხარული და ლხინი არ მოუშალოს, გვიგულეთ თქვენს თანამოზიარედ ამ დიდ სიხარულში.

**პატივისცემით** დედოფლისწყაროს
სუპერმარკეტ „უნივერსალის“ თანამშრომლები.

## ჯემალ მეხრიშვილს!

ჩვენს თანამემამულეს, ჭეშმარიტ ქიზიყელ ქართველს, შესანიშნავ მწერალს ბატონ ჯემალ მეხრიშვილს ვულოცავთ 75 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებას.

ჯუმბერ უთრუთაშვილი, გიორგი ნატროშვილი,
შოთა ბიკაშვილი, ნაირა გორაშვილი, ლალი მეხრიშვილი,
ნელი გოგეჯიშვილი, თამარ თამაზაშვილი.



# იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში, ხუთსართულიან კორპუსში, ჰერეთის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის მაღლა), მეორე სართულზე იყიდება სამოთახიანი, ოთხ ოთახიანად გადაკეთებული, თბილი, ნათელი, კუთხის ბინა გადიდებული ლოჯიით, ორი აივნით, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული მაღალი დონის რემონტით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ბუხრით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, ფანჯრებზე ჟალუზებით, აივნებზე გისოსებით და სამეურნეო სათავსოებით, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე აღჭურვილი კაფელ-მეტლახით, შესასვლელში დამონტაჟებული კარადებით, კიბის ქვეშ სამეურნეო სათავსოთი, გაზით, წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ფასი:18000

☎ 591 09 24 78.



# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 13.02 | | სამშაბათი 14.02 | | ოთხშაბათი 15.02 | | ხუთშაბათი 16.02 | | პარასკევი 17.02 | | შაბათი 18.02 | | კვირა 19.02 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| -4 ° | -5 ° | -4 ° | -8 ° | -5° | -6° | -4 ° | -5 ° | -4 ° | -5 ° | -6 ° | -7 ° | -6 ° | -7 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია:
ქალაქ დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.